პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 18 იანვარი, 1946 წ. № 13 (7486). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

ყურადღება ახალ ტექნიკას—„პრავდის" მოწინავე (1-ლი გვერდი).
ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში — სტალინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი (1-ლი გვერდი).
ბელგიიდან საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის შესახებ (1-ლი გვერდი).
მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის სავაჭრო დელეგაცია (1-ლი გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სესია (მე-2 გვერდი).
დ. ლომთაძე — მეტალურგიის ნოვატორი (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები (მე-3 გვერდი).
სასამართლო პროცესი ბელორუსიის სს რესპუბლიკაში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

# ყურადღება ახალ ტექნიკას

სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ მოსპო ჩვენი ქვეყნის საუკუნეობრივი ტექნიკური ჩამორჩენილობა და ბოლო მოუღო სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან იმ დამოკიდებულ მდგომარეობას, რომელშიც მეფის რუსეთი იმყოფებოდა. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში ჩვენმა სამშობლომ შექმნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი თავისი მოწინავე მრეწველობა. ჩვენ ახლა გვაქვს არა თუ ქარხნები, არამედ „ქარხნების ქარხნებიც" — საწარმოები, რომლებიც წარმოების საშუალებებს ჰქმნიან. არ არის ისეთი მანქანა, რომლის აგებაც არ შეიძლებოდეს ჩვენს ქვეყანაში.

სტალინური ხუთწლედების გარეშე, მძლავრი სამამულო ინდუსტრიის გარეშე, თავისი საკუთარი ახალი ტექნიკის გარეშე ჩვენი ქვეყნის განვითარება განწირული იქნებოდა. იმპერიალისტი მტაცებლები ჩვენს სახელმწიფოს თავიანთ კოლონიად გადააქცევდნენ. სოციალისტურმა ინდუსტრიამ იხსნა ჩვენი სამშობლო.

ინდუსტრიალიზაცია მარტო ტექნიკა როდია. ჩვენს ქვეყანას გააჩნია კიდევ უფრო ძვირფასი მონაპოვარი, ვიდრე ახალი ტექნიკაა. ეს არის კადრები. ინდუსტრიალიზაციის პროცესში ბოლშევიკურმა პარტიამ აღზარდა კადრები, რომლებიც დაუფლებული არიან ახალ ტექნიკას და წინ ეწევიან მას. საბჭოთა კავშირის სიამაყეს შეადგენენ მანქანებისა და იარაღების შემქმნელნი — ნიჭიერი საბჭოთა კონსტრუქტორები და ინჟინრები. ისინი განირჩევიან აზრის სიღრმით, გაბედული ნოვატორობით, ფართო გაქანებით და გამომგონებლობით, რაც ჩვენს მაღალნიჭიერ ხალხს სჩვევია.

სამამულო ომმა განსაკუთრებული სიცხადით დაგვანახვა საბჭოთა ტექნიკური კადრების მოწიფულობა. საბრძოლო ტექნიკა, რომელიც გერმანელებს ანადგურებდა, — არის ჩვენი ადამიანების მიერ შექმნილი ტექნიკა. თვითმფრინავები, ტანკები, ზარბაზნები, ავტომატები, რომლებითაც შეიარაღებულია წითელი არმია, — საბჭოთა კონსტრუქციისაა. ამხანაგი სტალინი წარმართავდა საბჭოთა კონსტრუქტორების მთელ საქმიანობას, აღაფრთოვანებდა მათ თავისი იდეებით, პირადად სინჯავდა ყოველ ახალ კონსტრუქციას, ეხმარებოდა კონსტრუქტორებს მათი ნააზრევის განხორციელებაში. საბჭოთა საკონსტრუქტორო სკოლა ტექნიკური პროგრესის სტალინური სკოლაა.

ჩვენი ხალხი დიდად აფასებს ტექნიკის ნოვატორებს. ამაში ერთხელ კიდევ გვარწმუნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კამპანია. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის რეგისტრირებულ კანდიდატთა შორის არიან საუკეთესო კონსტრუქტორები, სტალინური პრემიის ლაურეატები, მოწინავე ინჟინრები, მრეწველობის კაპიტნები. დეპუტატობის კანდიდატთა შორის ჩვენ ვხედავთ იმათ, ვისი სახელებიც ჰქვია საბჭოთა თვითმფრინავებს — „იაკებს" და „ილებს", — ესენი არიან ავიაციის კონსტრუქტორები იაკოვლევი და ილიუშინი. დეპუტატობის კანდიდატთა შორის არიან ცნობილი კონსტრუქტორები გრაბინი და პეტროვი, სატანკო, ტანკსაწინააღმდეგო და სადივიზიო არტილერიის შემქმნელნი, კოტინი — მძიმე ტანკების „კვ", „ის" მთავარი კონსტრუქტორი, შპაგინი — განთქმული საბჭოთა ავტომატის — „პპშ" კონსტრუქტორი, ტოკარევი — რუსული სასროლო იარაღის უძველესი კონსტრუქტორი. ესენი არიან ადამიანები, რომელთაც დაიმსახურეს დიდება, პატივისცემა და ხალხის სიყვარული. დიახ, საბჭოთა ხალხს უყვარს და აფასებს ნიჭიერ ადამიანებს, ნოვატორებს, ტექნიკის რევოლუციონერებს!

ჩვენი ხალხი არაფერს არ იშურებს მეცნიერებისა და ტექნიკის ადამიანებისათვის. მაგრამ იგი მომთხოვნელიც არის მათ მიმართ. ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა ტექნიკის ადამიანებსა და სამეურნეო კადრებს აფრთხილებენ მოდუნების წინააღმდეგ და მათგან მოითხოვენ არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით. ტექნიკა ერთ ადგილას როდი დგას, და ის, ვინც დროს კარგავს თავმოწონებისათვის, ვისაც განზრახვა აქვს, რომ განცხრომას მიეცეს, — აუცილებლად ჩამორჩება. ცხოვრება მას გაუსწრებს. ვერავითარი წარსული დამსახურება ვერ იხსნის ასეთ ადამიანს, ვინაიდან წარსულის ეტლით შორს ვერ წახვალ!

ამჟამად საბჭოთა მრეწველობა ომისშემდგომი გარდაქმნის სტადიაშია. იცვლება წარმოების ხასიათი ასობით და ათასობით საწარმოში. სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბაზაზე შექმნილია სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი, საომარ მასალათა სახალხო კომისარიატის ბაზაზე — სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი. თავისთავად იგულისხმება, რომ წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტექნიკური აღჭურვის ინტერესები სავსებით იქნება უზრუნველყოფილი ომისშემდგომი გარდაქმნის მსვლელობაში, მაგრამ ყველაზე უფრო მკვეთრი გაფართოება ამჟამად სამოქალაქო მანქანათმშენებლობამ უნდა მიიღოს. ამასთან ამოცანა სრულიადაც არ ამოიწურება მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ომისშემდგომი გარდაქმნის მიზანია მრეწველობის ტექნიკური დონის ახალი ამაღლება. უპირველესი ყურადღება უნდა მივაქციოთ ტექნიკის საკითხებს, მხარი გავუსწოროთ თანამედროვე მსოფლიო ტექნიკის მიღწევებს მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

რა არის ამჟამად საჭირო იმისათვის, რომ ეს ამოცანა შევასრულოთ?

უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ ჩვენმა კადრებმა დაინახონ და გაიგონ ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივები და მუდამ იდგნენ სოციალისტური მშენებლობის ახალ გრანდიოზულ ამოცანათა დონეზე, რათა მათ ზედმეტად არ შეაფასონ თავიანთი მიღწევები, არამედ დაუღალავად მიდიოდნენ წინ.

საჭიროა, რომ მთელ ჩვენს მრეწველობაში და მთელი მისი მუშაკების ძლიერ წახალისებულ იქნას ტექნიკური ნოვატორობა, რომ ყველა დარგის კონსტრუქტორები უზრუნველყოფილ იქნან საჭირო პირობებით ახალი მანქანების შესაქმნელად. ჩვენი მრეწველობა საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ ჰქონდეს მძლავრი საცდელი და ექსპერიმენტული ბაზები, სადაც შემოწმდება გამოგონებანი, ახალი კონსტრუქციები, ნოვატორთა წინადადებანი. საბჭოთა სახელმწიფო არ იშურებს და არ დაიშურებს სახსრებს საცდელი სამუშაოებისათვის, ვინაიდან ეს არის ტექნიკური პროგრესის საწინდარი.

საჭიროა, რომ მრეწველობის ყოველ დარგს ჰყავდეს მტკიცედ დარაზმული საკმაო ჰორიზონტის მქონე კონსტრუქტორთა კადრები, მოწყობილი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, რომ არ „გამოვიგონოთ" უკვე გამოგონილი, არ „აღმოვაჩინოთ" უკვე აღმოჩენილი და არ გავიმეოროთ ისინი. მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიც არის საავტომობილო მშენებლობა, მძიმე, სატრანსპორტო და სამთო მანქანათმშენებლობა, ტანკთამშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სამეცნიერო, საკვლევო და ექსპერიმენტულ ბაზას, შეიქმნას საკონსტრუქტორო ბიუროები და იქ იმუშაონ უნარიანმა ადამიანებმა. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა, მაგალითად, საავტომობილო-სატრაქტორო ან სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა, მათთვის დასახული ამოცანების დონეზე იდგნენ. ისინი და ზოგიერთი სხვა ინსტიტუტი ვერ დაიკვეხნიან ახალი თანამედროვე მანქანების შექმნას. ზოგიერთი ინსტიტუტი დაავადებულია უნაყოფობით, რაც ამასთან ბევრ წელს გრძელდება. დროა ბოლო მოეღოს ამას!

საბჭოთა მრეწველობას შეუძლია შექმნას ისეთი პირველხარისხოვანი მანქანები, როგორიცაა ახლახან ხარკოვის ქარხნის მიერ აგებული 100 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბინა — ამ სიმძლავრის ერთ-ერთი ტურბინა, როგორიც მსოფლიოში ცოტა მოიპოვება. ამავე დროს არიან ისეთი ქარხნებიც, რომლებიც კვლავ უშვებენ დიდიხნის მოძველებული კონსტრუქციის მცირე ელექტრომოტორებს. ომის წინ ზოგი ქარხანა ამზადებდა სამეტალურგიო, სამთო, ნავთის მრეწველობის, საფეიქრო, ხის დამმუშავებელ და სხვა მოწყობილობას, რომელიც სრულიადაც არ იყო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ნაკეთები.

ახლა, როდესაც აღვადგენთ და ვაფართოებთ სამოქალაქო მანქანათმშენებლობას, სწორი არ იქნებოდა მოძველებული ნიმუშების მიხედვით გვემუშავა. იქ, სადაც მომზადებულია შემოწმებული და გამოცდილი ახალი ნიმუშები, მათ გზა უნდა გავუხსნათ საამქროებში. საჭიროა შეუპოვრად ვიმუშაოთ მაღალნაყოფიერი ნიმუშების შესაქმნელად, რომლებიც შეეფერებიან საბჭოთა და მსოფლიო ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს.

ჩვენი ქვეყანა იმუშავებს თავისი განვითარების პირველ ომისშემდგომ ხუთწლიან გეგმას. საბჭოთა ხალხმა იცის სტალინური ხუთწლედების ძალა და მნიშვნელობა! ახალი ხუთწლედი იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული ძალების უმაგალითო გაფურჩქვნის პერიოდი. ახალი ხუთწლედი კიდევ უფრო აამაღლებს საბჭოთა მეცნიერებას, საბჭოთა ტექნიკას — ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი ზრდის საშუალებებს.

**„პრავდის" 16/I მოწინავე**

ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში

# სტალინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი

16 იანვარს კინოთეატრ „როდინას" დარბაზში შესდგა სტალინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი.

დამსწრენი აღტაცებული ოვაციით შეხვდნენ წინადადებას იმის შესახებ, რომ საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

პირველი გამოვიდა სატრანსფორმატორო ქარხნის დირექტორი ამხ. ი. დ. ივანოვი. იგი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი მთელი ხალხის მხურვალე სიყვარულისა და ერთგულების მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა.

— ცნობამ იმის შესახებ, რომ ამხანაგი სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში, — განაცხადა ამხ. ივანოვმა, — სიხარულით აღავსო ჩვენი გული. მისწრაფებამ იმისადმი, რომ გავამართლოთ ამხანაგ სტალინის ნდობა, აღვნიშნოთ ეს დიდი მოვლენა, უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია რაიონის საწარმოებში.

სატრანსფორმატორო ქარხნის მუშები სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და ყოველდღე ახალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევენ. მჭედლები ამხ. გუროვი, ზაცეპინი, მალახოვი და მიშინი 10 იანვრიდან ყოველდღე 500-550 პროცენტით ასრულებენ ცვლის ნორმას. ხარატები ამხ. ბოლშაკოვი, რემნევა, მაკარენკო, კომაროვი და სხვ. ცვლაში 3,5-4,5 ნორმას იძლევიან.

— ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი ცხოვრება, ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერება. ჩვენი მომავალი! (მქუხარე ტაში). მაშ ვიყოთ დიდი სტალინის ნდობის ღირსნი! (ხანგრძლივი ტაში, შეძახილები: „ვაშა ამხანაგ სტალინს!").

— ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდა ელექტროქარხნის კოლექტივი ცნობას იმის შესახებ, რომ ამხ. ბულგანინი დათანხმდა კენჭი იყაროს უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქში. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი დიდი სტალინის ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწეა, იმ სტალინელ მხედართმთავართა სახელოვანი პლეადის წარმომადგენელია, რომლებმაც დიდი ძალა და ენერგია მოახმარეს გერმანელი დამპყრობლების განადგურების საქმეს.

ამთავრებს რა თავის სიტყვას, ამხ. ივანოვი ამბობს:

— მე მოვუწოდებ სტალინის რაიონის ყველა ამომრჩეველთ ერთსულოვნად მისცენ ხმა საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს! (მქუხარე ტაში, მისალმების შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად) და ჩვენი სამშობლოს ერთგულ შვილს ამხ. ბულგანინს! (ხანგრძლივი ტაში).

იზმაილოვის სართავ-საფეიქრო ფაბრიკის ოსტატი პ. დ. დანილინა უზიარებს დამსწრეთ ფიქრებსა და გრძნობებს, რითაც ამ დღეებში გამსჭვალული არიან იმ რაიონის ყველა მშრომელნი, რომელიც ამხანაგ სტალინის სახელს ატარებს.

— მოხდა ის, — ამბობს იგი, — რაც ყველას ასე მხურვალედ გვსურდა: მშობლიური სტალინი დათანხმდა კენჭი იყაროს სტალინის საარჩევნო ოლქში! მე ბრწყინვალე დღესასწაულივით მოველი უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს.

სადად და გულითადად მოუთხრობს დამსწრეთ საბჭოთა პატრიოტი ქალი თავის ცხოვრებასა და მუშაობაზე.

— ომის პირველი დღეებიდანვე ფრონტზე გავაცილე ქმარი და ქალიშვილი. ვასრულებდი რა ამხანაგ სტალინის მოწოდებას, მთელი ძალღონით ვეხმარებოდი სამშობლოს. მე შევცვალე ფრონტზე წასული ოსტატის თანაშემწე, დავეუფლე მამაკაცის პროფესიას, გავხდი მანქანების გამმართველი, ვმუშაობდი ორის მაგივრად. ეს ადვილი როდი იყო, მაგრამ მუშა კაცის გულით ვგრძნობდი, რომ ჩვენი შრომა ამაოდ არ ჩაივლიდა, მჯეროდა, რომ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი სამართლიანი საქმე გაიმარჯვებდა. და აი ახლა გამარჯვება მოპოვებულია, და ჩვენ კვლავ გადავედით მშვიდობიან შრომაზე! (ტაში).

ფრონტიდან დაბრუნდა ჩემი ქალიშვილი, რომელმაც მთავრობის ორი ჯილდო დაიმსახურა. მან რიგით მუშად დაიწყო, ხოლო შემდეგ როგორც ოსტატს — ცვლის მეთაურს. (ტაში).

— ფეიქარ მუშაქალთა სახელით, დედათა სახელით მოგიწოდებთ ყველას, ამხანაგო ამომრჩევლებო, საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დღეს მიხვიდეთ საარჩევნო ყუთებთან და ხმა მისცეთ მშრომელთა დიდ ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს ამხანაგ სტალინს და ჩვენი სამშობლოს ერთგულ შვილს ამხ. ბულგანინს (მქუხარე ტაში, შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს კანდიდატს ამხანაგ სტალინს!", „ვაშა ამხანაგ სტალინს!").

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ტიმოშენკოს სახელობის ქარხნის შემდუღებელმა კ. ი. ლავრენტიევამ, მოტორმშენებელი ქარხნის კონსტრუქტორმა მ. პ. ხაიუროვმა, № 64 პოლიკლინიკის ექიმმა გ. ფ. მარკოვამ, მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის საამქროს უფროსმა ამხ. კანალინმა, საკავშირო კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომის მდივანმა ს. ა. ეოლინინმა.

თათბირის მონაწილეებმა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

სტალინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო კრებამ წერილით მიმართა ამომრჩევლებს. (საკდესი).

# მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის სავაჭრო დელეგაცია

ამა წლის 16 იანვარს მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის სავაჭრო დელეგაცია. ჩამოსულთა შორის არიან ბულგარეთის ნაციონალური ბანკის მმართველი პროფესორი ი. სტეფანოვი, ბულგარეთის საგარეო ვაჭრობის დირექტორის მოადგილე დოქტორი მ. მატეევი და ბ-ნები ლ. რალჩევი, ბ. სიმოვი და ბ. პეტროვსკი.

დელეგაციის მეთაურს — ბულგარეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს ბ-ნ დ. ნეიკოვს მოსკოვში უახლოეს დღეებში მოელიან.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ ექსპერტები, აგრეთვე ბულგარეთის სავაჭრო და სამრეწველო ფირმების წარმომადგენლები.

კიევის ვაგზალში დელეგაციას შეხვდნენ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ბულგარეთში ვ. ი. ზაიცევი, საოქმო ნაწილის უფროსი ვ. გ. კირილოვი და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირში ბულგარეთის მისიის მრჩევლები ბ-ნი ა. ნიკოლაევი და ბ-ნი ბ. ხრისტოვი და სსრ კავშირში ბულგარეთის მისიის სხვა წევრები.

# სოხუმის საარჩევნო უბნებში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების სოხუმის № 558 საარჩევნო ოლქში 232 საარჩევნო უბანი შედის. საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შერჩეული არიან მოწინავე ადამიანები, რომლებმაც სამამულო ომის ფრონტზე ბრძოლით და ზურგში თავდადებული შრომით თავი გამოიჩინეს. საარჩევნო უბნებში ყველგან გაცხოველებული მუშაობაა.

საოლქო საარჩევნო კომისიას ყველა საუბნო საარჩევნო კომისიასთან აქვს ან სატელეფონო ან რადიოკავშირი. 23 კილომეტრზე გაყვანილია ახალი სატელეფონო ხაზი.

ყველა უბანი დილიდან გვიან საღამომდე მუშაობს. აქ მოდიან ამომრჩევლები მათთვის საინტერესო საკითხებზე პასუხის მისაღებად. უბნებში მუშაობა გააჩაღეს ნდობით აღჭურვილმა პირებმა. ისინი აცნობენ ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიებს.

# მოსავლის განაწილება ყაზახეთის კოლმეურნეობებში

**ალმა-ათა,** 17 იანვარი. (საკდესი). ყაზახეთის 300-მდე კოლმეურნეობა, რომლებმაც წლიური ანგარიშების შედგენა დაამთავრეს, შემოსავლის განაწილებას შეუდგა. კოკჩეტავის და სამხრეთ ყაზახეთის ოლქების მრავალ სასოფლო-სამეურნეო არტელში თვითეულ შრომადღეზე მიდის ოთხ-ოთხი კილოგრამი პური, გარდა მეცხოველეობის პროდუქტებისა და ფულისა.

შემოსავლის განაწილებასთან ერთად ხდება დამატებითი საზღაურის დარიცხვა, რასაც აძლევენ იმ მეცხოველეებს, რომლებმაც სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ტალდი-ყურგანის ოლქის კიროვის რაიონის კოლმეურნეობა „ყარა ქარიკის" მეცხვარეობის ფერმის გამგემ ტატკიმბაევმა, რომელმაც 1.401 დედაცხვარზე 1,543 ბატკანი გამოზარდა, დამატებითი საზღაურის წესით 94 ბატკანი მიიღო.

# ბელგიიდან საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის შესახებ

**პარიზი,** 14 იანვარი. (საკდესი). ამ დღეებში ბელგიის გაზეთებში გამოქვეყნდა იუსტიციის მინისტრ გრეგუარის მიწერილობა ბურგომისტრებისადმი ბელგიიდან საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

მიწერილობაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირ-ბელგიის შეთანხმების თანახმად, რომელიც ხელმოწერილ იქნა ბრიუსელში, ბელგიის მთავრობამ იკისრა გააადვილოს და დააჩქაროს სსრ კავშირის იმ მოქალაქეთა რეპატრიაცია, რომელთა ადგილგადანაცვლებაც მოხდა ომის გამო, იმ ყოფილ სამხედრო ტყვეთა ჩათვლით, რომლებიც განთავისუფლების მომენტისათვის და შემდეგ ბელგიაში იმყოფებოდნენ. მიწერილობაში ნათქვამია, რომ შეთანხმებას პატივი უნდა სცეს და პატიოსნად შეასრულოს ბელგიის ყველა ხელისუფალმა.

მაგრამ იუსტიციის მინისტრის მიერ მითითებული კონკრეტული ღონისძიებანი აშკარად ეწინააღმდეგებიან მის განცხადებას შეთანხმების ასე შესრულების აუცილებლობის შესახებ. პირიქით, ეს ღონისძიებანი, შეთანხმების საწინააღმდეგოდ, ითვალისწინებენ მთელი რიგი სარეპატრიაციო საბჭოთა მოქალაქეების დაკავებას.

თავის მიწერილობაში იუსტიციის მინისტრი არ მოერიდა, მაგალითად, იმის გამოცხადებას, რომ რეპატრიირებული არ იქნებიან ის საბჭოთა მოქალაქენი, რომლებიც ამჟამად ქვანახშირის შახტებში მუშაობენ მიწისქვეშა მუშებად. სსრ კავშირის ყველა დანარჩენი მოქალაქენი, რომლებიც ბელგიაში იმყოფებიან 1940 წლის 10 მაისიდან, თანახმად მიწერილობისა დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნონ 161-ე მიმღებ პუნქტში, სტალის ქუჩაზე დუკლ სტალში, სადაც მათს მდგომარეობას უცხოელთა საქმეების პოლიციისა და რეპატრიაციის ორგანოთა წარმომადგენლები გამოარკვევენ. ამასთან მიწერილობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ პოლიციის წარმომადგენლებმა უნდა გადასწყვიტონ რეპატრიაციის საკითხი, ისე რომ ამაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ საბჭოთა რწმუნებულებმა რეპატრიაციის დარგში. გარდა ამისა, იმ საბჭოთა მოქალაქეების შესახებ, რომლებიც რაიმე მიზეზით რეგისტრირებული არ არიან ბელგიის ხელისუფალთა მიერ, მიწერილობაში ნათქვამია, რომ ისინი საოლქო საპყრობილეში უნდა მიიყვანონ.

ამრიგად, იუსტიციის მინისტრ გრეგუარის მიწერილობა, რომელშიც დეკლარირებულია განზრახვა პატივი სცენ და შეასრულონ საბჭოთა კავშირ-ბელგიის შეთანხმება, ნამდვილად მიმართულია ამ შეთანხმების უხეშად დარღვევისაკენ. ტყუილად კი არ არის, რომ ბელგიის გაზეთების რეაქციული ნაწილი ყოველნაირად აქებს იუსტიციის მინისტრის მიწერილობას და განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ იგი მიზნად ისახავს ჩამოაშოროს საბჭოთა ორგანოები რეპატრიაციაში მონაწილეობას და რომ ადგილობრივ ხელისუფალთ შესაძლებლობა ეძლევათ დამნაშავეებად განიხილონ მთელი რიგი საბჭოთა მოქალაქენი და საპყრობილეშიც კი დაამწყვდიონ ისინი.

როგორც იუწყებიან, საბჭოთა კავშირის ელჩმა ბელგიაში პროტესტი განაცხადა გრეგუარის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად

# სტახანოველთა საქალაქო სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

### 15 იანვარი

**მჭედლები**

○ 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ვ. კორძაძემ დღიური ნორმა შეასრულა 1.046 პროცენტით.

○ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ვ. არუსტამოვმა დღიური დავალება შეასრულა 821 პროცენტით, კ. ილურიძემ — 800 პროცენტით, ვ. გამხუაშვილმა — 501 პროცენტით, ვ. ხარჩილავამ — 310 პროცენტით, ს. ამბარცუმიანმა — 300 პროცენტით.

**ხარატები**

○ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მ. მამაგეიშვილმა გეგმა შეასრულა 335 პროცენტით, ნ. კოჩეტკოვმა — 275 პროცენტით, ა. ერმოლენკომ — 252 პროცენტით, ს. პაპინაშვილმა — 240 პროცენტით და გ. კაჭახიძემ — 240 პროცენტით.

○ თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში გ. წიკლაურმა გეგმა შეასრულა 400 პროცენტით, ე. ჩერნოვამ — 334 პროცენტით.

○ 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში კოვალიოვმა გეგმა შეასრულა 630 პროცენტით, ა. ბაღდასაროვმა—500 პროცენტით, ლარიბოვმა — 450 პროცენტით.

**ზეინკლები**

○ თბილისის საორთქლმავლო დეპოში სოლოვიოვმა გეგმა შეასრულა 400 პროცენტით, მ. დურგლიშვილმა — 308 პროცენტით, ი. ბერიაშვილმა — 251 პროცენტით.

○ თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში პ. ნოვოსელცოვმა დღიური ნორმა შეასრულა 385 პროცენტით, ნ. მიხაილოვმა — 325 პროცენტით, ნ. ვოიდენკომ — 320 პროცენტით, გ. გევორქოვმა — 329 პროცენტით, ი. უგაროვმა — 275 პროცენტით და ს. სიდამონიძემ — 200 პროცენტით.

**მექვაბეები**

○ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მექვაბეთა ბრიგადამ, რომელსაც ს. ზანდაროვი ხელმძღვანელობს გეგმა შეასრულა 437 პროცენტით, პ. პილიპჩუკის ბრიგადამ — 343 პროცენტით, თ. გავრილოვის ბრიგადამ — 329 პროცენტით, ნ. ნოიანოვის ბრიგადამ — 300 პროცენტით და მ. გეწაძის ბრიგადამ — 263 პროცენტით.

**მეყალიბეები**

○ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ვ. სადჩიკოვმა დღიური ნორმა 345 პროცენტით შეასრულა, თ. ლორთქიფანიძემ — 225 პროცენტით, ს. რაზმაძემ — 225 პროცენტით და ვ. კოკოევმა — 233 პროცენტით.

### 16 იანვარი

**მჭედლები**

○ 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ვ. კორძაძემ გეგმა შეასრულა 1.075 პროცენტით.

○ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში გ. არუსტამოვმა გეგმა 586 პროცენტით შეასრულა, კ. ილურიძემ — 450 პროცენტით, ვ. გამხუაშვილმა — 412 პროცენტით, ს. ამბარცუმიანმა — 362 პროცენტით და ვ. ხარჩილავამ — 315 პროცენტით.

○ თბილისის საორთქლმავლო დეპოში ი. ბერიაშვილმა გეგმა შეასრულა 225 პროცენტით და ე. უსენაშვილმა — 225 პროცენტით.

**ხარატები**

○ კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ვ. კანიგინმა გეგმა შეასრულა 552 პროცენტით, ვ. ემელიანოვმა — 410 პროცენტით, ს. ბორდაკოვმა — 375 პროცენტით, ს. ზამულამ — 255 პროცენტით, ნ. უკოლოვმა — 250 პროცენტით.

○ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მ. მამაგეიშვილმა გეგმა შეასრულა 345 პროცენტით, გ. კაჭახიძემ — 300 პროცენტით, ს. პაპუნაშვილმა — 270 პროცენტით და ნ. ცისკაძემ — 256 პროცენტით.

○ თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში ე. ჩერნოვამ გეგმა 468 პროცენტით შეასრულა, გ. წიკლაურმა — 412 პროცენტით.

**მექვაბეები**

○ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ს. ზანდაროვის მექვაბეთა ბრიგადამ დღიური დავალება 337 პროცენტით შეასრულა, მ. გეწაძის ბრიგადამ — 276 პროცენტით, ი. ფილიპოვის ბრიგადამ — 207 პროცენტით და ი. ბაბაევის ბრიგადამ — 200 პროცენტით.

**ზეინკლები**

○ კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ი. ფირცხალავამ დღიური დავალება 380 პროცენტით შეასრულა, ა. ბენდიაშვილმა — 350 პროცენტით.

○ თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში გ. გევორქოვმა დღიური გეგმა 451 პროცენტით შეასრულა, ს. სარქისოვმა — 437 პროცენტით, ი. უგაროვმა — 312 პროცენტით, ც. ზალესკიმ — 330 პროცენტით და თ. ნიკოლაიდიმ — 225 პროცენტით.

# ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენა 1946 წ. 22 იანვრის დასვენების დღე გადმოტანილ იქნეს ორშაბათს, 1946 წ. 21 იანვარს.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სესია

## იურიდიული კომიტეტის სხდომა

**ლონდონი**, 15 იანვარი. (საკდესი). 15 იანვარს დილით პანამის დელეგატის ჰიმენესის თავმჯდომარეობით შესდგა გენერალური ასამბლეის № 6 კომიტეტის (იურიდიული კომიტეტის) სხდომა. განსახილველი იყო კუბის წინადადებანი საერთო კომიტეტის შემადგენლობის შესახებ, უკრაინის წინადადებანი არჩევნების მეთოდების შესახებ და ეკვადორის დელეგატის წინადადება ეკონომიური და სოციალური საბჭოს მიერ ვაჭრობის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარედ დანიის დელეგატის ფედერშპილის, ხოლო მომხსენებლად კანადის დელეგატის ჯონ რიდის არჩევის შემდეგ სიტყვით გამოვიდა კუბის წარმომადგენელი სისნეროსი, რომელმაც წარადგინა თავისი წინადადებანი. მან წინადადება შეიტანა, იმ შემთხვევაში, თუ უარყოფილი იქნება მისი წინადადება, რომელიც ითვალისწინებს, რომ საერთო კომიტეტი უნდა შესდგებოდეს ყველა გაერთიანებული ერების წარმომადგენლებისაგან და მისი ალმასკომი უნდა შესდგებოდეს 14 ერის წარმომადგენლებისაგან, გენერალური ასამბლეის იმ ეროვნული წესების რიცხვში, რომლებიც მოსამზადებელი კომისიის მოხსენებაშია დასახული, შეტანილ იქნას ახალი წესი. ეს წესი ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დატოვებული იქნება საერთო კომიტეტის ვიწრო შემადგენლობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველ წევრს, რომელიც წარმოდგენილი არ არის კომიტეტში და რომელსაც სურს თავისი საკითხი დღის წესრიგში შეიტანოს, უფლება უნდა ჰქონდეს დაესწროს სხდომას, რომელზეც ამ წინადადების განხილვა სწარმოებს. სისნეროსმა აგრეთვე აღნიშნა: ეს წესი უნდა ითვალისწინებდეს, რომ საერთო კომიტეტში ერთ სესიაზე წარმოდგენილი დელეგაციები არჩეულ არ უნდა იქნან შემდგომ სესიაზე. გარდა ამისა, სისნეროსმა წინადადება შეიტანა შემუშავებულ იქნას ახალი წესი 35-ე წესის ნაცვლად. არსებული წესი ითვალისწინებს, რომ საერთო კომიტეტს შეუძლია გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციები გადასინჯოს მხოლოდ მათი ფორმის შეცვლის ნაწილში, მაშინ როდესაც არსი ხელუხლებელი უნდა დარჩეს, და რომ ყველა ამგვარი ცვლილება განსახილველად უნდა წარედგინოს გენერალურ ასამბლეას. ახალ წესში აღნიშნული უნდა იყოს, რომ გენერალური ასამბლეის მიერ განხილვამდე 24 საათის წინ დელეგატებს უნდა დაურიგდეთ დაწერილებითი ანგარიში ცვლილებათა შესახებ.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ეკვადორის დელეგატი. საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებზე მომავალ კონფერენციასთან დაკავშირებით ეკვადორის დელეგატმა წინადადება შეიტანა, რომ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილ იქნას შესწორება, რომელშიც ნათქვამი იქნება, რომ ეს კონფერენცია განიხილავს არა მარტო საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებს, არამედ საერთაშორისო ბაზრებზე ფასების საკითხსაც, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნედლეულისა და მზა ნაწარმის ფასების სამართლიანი თანაფარდობა.

უკრაინის დელეგაციის წინადადებანი სხდომამ არ განიხილავს. თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა სამივე წინადადება გადაეცეს ქვეკომიტეტს, რომელმაც მოხსენება უნდა წარუდგინოს კომიტეტს ორი დღის შემდეგ. წინადადება მიღებულ იქნა და შეიქმნა მუდმივი ქვეკომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ავსტრალია, კუბა, ჩინეთი, ეკვადორი, საფრანგეთი, ლიბანი, მექსიკა, ნორვეგია, უკრაინა, ინგლისი და იუგოსლავია.

## გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა

**ლონდონი**, 15 იანვარი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე, რომელიც 15 იანვარს ნაშუადღევს შესდგა, გრძელდებოდა კამათი, რაც წინადღეს დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბირნსის გამოსვლით.

ირანის დელეგაციის მეთაური სეიდ ჰასან ტაგი-ზადე გამოვიდა სიტყვით ირანის ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ველინგტონ კუმ, რომელიც ირანის დელეგატის შემდეგ გამოვიდა, იმედი გამოსთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაუყოვნებლივ შექმნის მეურვეობის საბჭოს.

კუმ სთქვა, რომ მეურვეობის სისტემა მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენს მანდატების სისტემასთან შედარებით და იგი სარგებლობას მოუტანს მილიონობით ადამიანებს.

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რასმუსენმა, რომელიც ველინგტონ კუს შემდეგ გამოვიდა, თავისი ქვეყნის სახელით გამოსთქვა „უღრმესად სრული ნდობა დიდი სახელმწიფოების იმ კეთილი ნებასურვილისა და უნარისადმი, რომ ლოიალურად ითანამშრომლონ ყველა ერებთან".

თავის სიტყვაში მან აღნიშნა, რომ „ჭეშმარიტად ცუდი ჯილდო იქნებოდა ძველი და ამავე დროს თანამედროვე მამაცი ჩინეთის, გმირული და უძლეველი რუსეთის, სახელოვნად მებრძოლი საფრანგეთის, მტკიცე და ურყევი ინგლისისა და სულგრძელი და შეუპოვარი შეერთებული შტატების გასაოცარი ღონისძიებებისათვის, მცირე ერებს რომ გამოეჩინათ მერყეობა თავიანთ ნდობაში, რის ღირსადაც ეთუოდ გვიჩვენეს თავი ჩვენმა დიდმა მოკავშირეებმა".

შემდეგ გამოსული ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრი შერმერჰორნი შეეხო ინდონეზიის საკითხს.

შერმერჰორნის სიტყვის შემდეგ ასამბლეის თავმჯდომარემ სპააკმა გამოაცხადა, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ბევინი სიტყვით გამოვა 17 იანვარს.

ამით საღამოს სხდომა დამთავრდა.

## საერთო კომიტეტის სხდომა

**ლონდონი**, 15 იანვარი. (საკდესი). 15 იანვრის დილის სხდომაზე გენერალური ასამბლეის საერთო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შეიქმნას ქვეკომიტეტი 6 კაცის შემადგენლობით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებთან შესახვედრად, რათა განხილულ იქნას ამ უკანასკნელის თხოვნა მასსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის კავშირის დამყარების შესახებ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოთხოვნები სხდომას მოახსენა საბჭოთა დელეგაციის წევრმა ამხ. კ. ზნეცოვმა. მან ხაზი გაუსვა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მსოფლიოს 65 მილიონ მუშას წარმოადგენს. ფედერაცია ენერგიულად უჭერს მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და სთვლის, რომ ერთნაირია ის მიზნები, რომლებსაც ისახავს როგორც ეს ორგანიზაცია, ისე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კიდევ უფრო ქმედითი რომ გახდეს, მუშათა საერთაშორისო მოძრაობას სურს მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მოითხოვს წარმომადგენლობას გენერალურ ასამბლეაში სათათბირო ხმით და სრულ წარმომადგენლობას ხმის უფლებით ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში.

ამხ. კუზნეცოვს ენერგიულად დაუჭირეს მხარი საფრანგეთის დელეგატმა პოლ ბონკურმა, საბჭოთა დელეგატმა ამხ. გრომიკომ და უკრაინის დელეგატმა ამხ. მანუილსკიმ. ძლიერ წელ იქნა ზოგადი შეთანხმება იმის შესახებ, რომ საჭიროა დამყარდეს კონტაქტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებს შორის იმისათვის, რათა მოსმენილ იქნას უკანასკნელთა აზრი. ამ საკითხზე კამათი საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა, ვინაიდან წამოიჭრა შეხედულებათა სხვადასხვაობა ამ კონტაქტის განხორციელების მეთოდის მხრივ.

საბჭოთა დელეგატმა გრომიკომ იმის სასარგებლოდ გამოსთქვა აზრი, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებს მოუსმინონ საერთო კომიტეტში. გრომიკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია სრული თანაგრძნობით ეპყრობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოთხოვნებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა ფორმა უნდა მიიღოს თანამშრომლობამ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასა და ორგანიზაციას შორის. მეორე მხრივ, განაცხადა გრომიკომ, მას საძნელოდ მიაჩნია მიღებულ იქნას რაიმე გადაწყვეტილება ამ ეტაპზე, თუ არ მოუსმენენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებს. მიზანშეწონილი იქნებოდა, როცა ქვეკომიტეტი თავის მოხსენებას წარადგენს, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლები დაესწრონ საერთო კომიტეტის სხდომას, რათა საერთო კომიტეტში წარმოდგენილ ყველა დელეგატს შეეძლოს მათი თვალსაზრისის მოსმენა.

თავმჯდომარემ განუცხადა გრომიკოს, რომ საერთო კომიტეტი მოუსმენს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებს იმ შემთხვევაში, თუ ქვეკომიტეტი ვერ მიაღწევს მათთან შეთანხმებას.

გადაწყდა, რომ ქვეკომიტეტი მაკარნის (ურუგვაი), ნოელ ბეიკერის (შეერთებული სამეფო), მანუილსკის (უკრაინა), ფრეზერის (ახალი ზელანდია), პოლ ბონკურისა (საფრანგეთი) და საერთო კომიტეტის თავმჯდომარის სპააკის შემადგენლობით უნდა შეხვდეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებს და წარადგინოს მოხსენება საერთო კომიტეტის შემდგომ სხდომაზე.

## საერთო კომიტეტის სხდომა

**ლონდონი**, 16 იანვარი. (საკდესი). გუშინ საღამოს გენერალური ასამბლეის საერთო კომიტეტმა განიხილა დეპეშა, რომლითაც იტალიის მთავრობა მხურვალე სურვილებს უძღვნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ამ დეპეშაში, რომელიც დათარიღებულია 10 იანვრით და ხელმოწერილია იტალიის პრემიერ დე გასპერის მიერ, ნათქვამია, რომ იტალიის მთავრობა მიმართავს გაერთიანებულ ერებს „მეგობრული და მხურვალე თხოვნით შესაძლებლობა მისცენ იტალიელ ხალხს, რაც შეიძლება მალე კვლავ დაიკავოს თავისი ადგილი საერთაშორისო თანასაზოგადოებაში, შეუერთდეს საერთო ღონისძიებებს და უზრუნველყოს ზავის მშვიდობიანი და სამართლიანი აღდგენა და ერთა შორის მეგობრული ურთიერთობა".

უპასუხა რა დელეგატების შეკითხვებზე, სპააკმა განაცხადა, რომ ეს დეპეშა არ წარმოადგენს განცხადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ, არამედ არის მხოლოდ მხარდაჭერის გამოხატულება.

დაეთანხმა რა ასეთ ინტერპრეტაციას, ინგლისის დელეგატმა ნოელ-ბეიკერმა განაცხადა, რომ, იღებს რა მხედველობაში დეპეშის უკანასკნელ ფრაზას, მას წინადადება შეაქვს გადაეცეს იგი უშიშროების საბჭოს.

ამერიკის დელეგატმა სტეტინიუსმა მხარი დაუჭირა ნოელ-ბეიკერის წინადადებას, ხოლო ახალი ზელანდიის დელეგატმა ფრეზერმა განაცხადა, საჭიროა ყოველნაირად დავეხმაროთ იტალიის პროგრესულ ძალებსო. მან წინადადება წამოაყენა გაეგზავნოს იტალიის მთავრობას მეგობრული ტონით შედგენილი პასუხი.

საბჭოთა კავშირის დელეგატმა გრომიკომ აღნიშნა, რომ მას საჭიროდ არ მიაჩნია დეპეშის ფორმალური გადაცემა უშიშროების საბჭოსათვის. მაგრამ მან წინადადება წამოაყენა დაიბეჭდოს იგი ასამბლეის ოფიციალურ ბიულეტენში, სადაც მას წაიკითხავენ უშიშროების საბჭოს წევრები.

გრომიკოს წინადადება მიღებულ იქნა. გადაწყდა აგრეთვე პასუხი გაეგზავნოს იტალიის მთავრობას და ეცნობოს მას საერთო კომიტეტის გადაწყვეტილება, და მადლობა გამოეცხადოს იტალიის მთავრობას მხარდაჭერის გამოთქმისათვის.

საერთო კომიტეტმა აირჩია ქვეკომიტეტი, რომლის ამოცანასაც წარმოადგენს მოხსენების გაკეთება მრავალი წერილისა და დეპეშის შესახებ, რაც სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პირებისაგან მოდის. ქვეკომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ პოლონეთის, ვენესუელისა და სირიის წარმომადგენლები. ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ჩინეთის წარმომადგენელი. შემდეგ კომიტეტი გადავიდა იმ დოკუმენტის განხილვაზე, რომელშიც ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების მისამართით მიღებულია მთელი რიგი დეპეშები სხვადასხვა ქვეყნების ზოგიერთ უმცირესობათა და პარტიათაგან, რომლებშიც ისინი სთხოვენ გაერთიანებულ ერებს მიიღონ ზომები მათი სათანადო პრობლემების გადასაჭრელად. მოთხოვნები ესპანეთში ამჟამად არსებული რეჟიმის მიმართ ზომების მიღების შესახებ შემოვიდა ჩრდილოეთ აფრიკაში მცხოვრები ესპანელი ქალებისაგან, ესპანელ ემიგრანტთა ალიანსისა ჯგუფისა და ლე ჰონის საწარმოთა ანტიფაშისტი ესპანელი მუშებისაგან. გარდა ამისა, მიღებულ იქნა მოთხოვნები, რომლებიც შეეხება ინდონეზიის პრობლემის გადაჭრას.

თავმჯდომარემ სპააკმა წინადადება წამოაყენა ამ დოკუმენტების საფუძვლიანად დამუშავებისათვის შეიქმნას მცირე ქვეკომიტეტი. უკრაინის დელეგატი ამხ. მანუილსკი დაეთანხმა ამას და წინადადება წამოაყენა, რომ დაინტერესებული მთავრობების წარმომადგენლები სათანადო საკითხების განხილვისას წარმოდგენილ იქნან ქვეკომიტეტში.

თავმჯდომარემ პირობა მისცა მანუილსკის, რომ ქვეკომიტეტის მიზანი იქნება გადაათვალიეროს დიდძალი დოკუმენტები, რომელთა მეტი ნაწილი საერთოდ არ იქნება განხილული. ბუნებრივია, რომ, როდესაც დოკუმენტების განხილვა მოხდება, მიწვეული იქნებიან დაინტერესებული სახელმწიფოს წარმომადგენლები.

ქვეკომიტეტის შემადგენლობა მოწონებულ იქნა.

კომიტეტმა გადასწყვიტა გადაეცეს № 1 კომიტეტს (პოლიტიკურ საკითხებსა და უშიშროების საკითხებზე) იმ წესების განხილვა, რომლებიც ოფიციალური ენების ხმარებას შეეხება.

ამით დამთავრდა კომიტეტის სხდომა.

## გენერალური ასამბლეის დილის პლენარული სხდომა

**ლონდონი**, 16 იანვარი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის 16 იანვრის დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი მოსამზადებელი კომისიის ანგარიშის გამო.

სიტყვა წარმოსთქვა ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტრიუგვე ლიმ, რომელმაც განაცხადა: „მხოლოდ დიდი სახელმწიფოები, რომლებსაც აწვა ომის კოლოსალური ტვირთი და რომელთა უმაგალითო ღონისძიებებმა შესაძლებელი გახადეს გამარჯვება, ზიდავდნენ მთელ იმ სიმძიმეს, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვექმნა გაერთიანებული ერები. ნორვეგიის დელეგაცია გულწრფელად იზიარებს იმ აზრს, რომ მშვიდობა ერთიანი და განუყოფელია, როგორც ეს უკვე გამოცხადებულ იქნა ამ ტრიბუნიდან. მაგრამ ეს არ შეიძლება მეტისმეტად ხშირად ვიმეოროთ. მანამდე, სანამ ამ ფაქტს არ შევიცნობთ, არ შეიძლება გვქონდეს რაიმე სასარგებლო შედეგის იმედი. სწორედ ამიტომ ისინი, ვისაც ნამდვილად სურს ხელი შეუწყოს საყოველთაო მშვიდობის საქმეს, არ უნდა ცდილობდნენ ცალკეულ ბლოკებად დაჰყონ მსოფლიო მაშინ, როცა ყველა შემოქმედებითი ძალა ნამდვილად თანამშრომლობს კაცობრიობის საერთო კეთილდღეობისათვის. არაფერი არ შეიძლება იყოს უფრო საშიში, ვიდრე ის, რომ ეს ახალი ორგანიზაცია თავიდანვე გამოიყენოს რომელიმე სახელმწიფომ თავისი საკუთარი მიზნებისათვის. აგრეთვე ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ ზოგიერთი დიდი პოლიტიკური და ტერიტორიული პრობლემა, უმთავრესად ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საზავო ხელშეკრულებებთან, სხვა გზებით გადაიჭრება, და არა ამ ორგანიზაციის მეშვეობით.

საფუძვლებით ცხადია, რომ დიდ სახელმწიფოებს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, ვიდრე ყველა სხვას, და სწორედ მათი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმარონ ამ პრობლემათა სამართლიანი და სწორი გადაწყვეტა, რომლებიც არ შეიძლება განხილულ იქნან ასამბლეის მიერ. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ყველა დიდ სახელმწიფოთა შორის ნდობისა და გულწრფელი თანამშრომლობის გარეშე ჩვენი მუშაობა სრული მარცხით დამთავრდება და საყოველთაო მშვიდობა ფიქცია იქნება".

ორატორი მოუწოდებდა დამსწრეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლებს ეს არ დაივიწყონ, რომ „ნაციზმი და ფაშიზმი ჯერ კიდევ ცოცხალი არიან და გონებას უწამლავენ მრავალ ადამიანს. გაერთიანებული ერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იქნება ამ საშიში შხამისაგან მსოფლიოს განთავისუფლება და იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა ერმა მიიღოს ნამდვილი დემოკრატიის იდეალი. ჩვენ ამაში დამარცხება არ უნდა განვიცადოთ, ვინაიდან დამარცხება ყველას მეტად ძვირად დაგვიჯდება".

ეკვადორის დელეგაციის ხელმძღვანელმა ალფაროსმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ეკვადორის დელეგატების მიერ წარმოდგენილი ხალხი და მთავრობა განაგრძობენ თავიანთ მოძმე ამერიკელ ხალხებთან და მთელი მსოფლიოს ხალხებთან თანამშრომლობას ერთა შორის მშვიდობის დაცვისა და უზრუნველყოფის კეთილშობილურ ამოცანაში.

„დღეს,—განაცხადა სალვადორის დელეგაციის მეთაურმა გერერომ, — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მსოფლიოს ახალ იმედს უქმნის. მსოფლიოს ორი უდიდესი სახელმწიფო, რომლებიც 1920 წლის ასამბლეაში არ მონაწილეობდნენ, დღეს აქ არის და მზად არის თანამშრომლობს მშვიდობიანობის დაცვაში. ეს სახელმწიფოებია—ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ამერიკის ყველა ხალხთან, და საბჭოთა კავშირი, რომლის თანამშრომლობაც მტკიცე საერთაშორისო წესრიგის აუცილებელ გარანტიას წარმოადგენს".

განაცხადა რა, რომ მიღებული აქვს გვატემალის, ჰონდურასის, ნიკარაგუას და პანამის დელეგაციათა რწმუნება—ილაპარაკოს მათი სახელით, გერერომ ამ ხუთი ქვეყნის დელეგაციების სახელით პირობა დადო, რომ ისინი „ითანამშრომლებენ ამ საქმეში, რომელმაც ტანჯვა უნდა შეუმსუბუქოს კაცობრიობას".

## საიანის წერილი მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარისადმი

**ლონდონი**, 15 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა საიანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარისათვის გაგზავნილ წერილში კატეგორიულად მოითხოვა ფედერაციის წარმომადგენლობა გენერალურ ასამბლეაში. ამ წერილში, რომლის შინაარსიც ცნობილი გახდა ლონდონში ასამბლეის საერთო კომიტეტის მიერ ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით, რაც დღეს შესდგა, საიანი აცხადებს, რომ ფედერაციას „უდავო უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში, როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელთა წარმომადგენელმა". ფედერაცია, სწერს საიანი, „ულრესად კატეგორიულად გამოთქმებით იმეორებს თავის მოთხოვნას ეფექტიანი წარმომადგენლობის შესახებ უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში და ყველა საერთაშორისო ორგანოში, რომელიც მშვიდობისა და რეკონსტრუქციის საკითხებზე მუშაობს".

# მეტალურგიის ნოვატორი



ლურჯხალათიანი ლაბორანტები გრძელ მაგიდას ორივე მხრივ უსხედან და თავდავიწყებით მუშაობენ. მაგიდაზე დაწყობილია უცნაურად დაკლაკნილი შუშის მილები, ათასგვარი ფორმის ჭურჭლები, სასწორები, თერმომეტრები, სხვადასხვა ხელსაწყოები, ზუსტი საზომები, სპირტსანთურები, ფერადფერადი სითხეებით სავსე ბოთლები, ლითონის ბრჭყვიალა და უფერული ნატეხები. შიშინებს ელექტროქურაზე უცხო ჭურჭელი. ირგვლივ ნადუღი ლითონების სპეციფიკური სუნია. ოდნავი ბოლი ჭვალის გუგას აღიზიანებს და შეუჩვეველ ადამიანს სუნთქვას უძნელებს.

ლაბორატორიაში სიჩუმეა, ხოლო გვერდით, პატარა კაბინეტში, საუბარია:

— თანამედროვე მეტალურგიის ისტორია არის ისტორია ბრძოლისა, რომელსაც ადამიანები აწარმოებენ ლითონისაგან მავნე მინარევების გამოსაყოფად. აბსოლუტურად წმინდა ლითონი ბუნებაში არ არსებობს.

ლითონის შენადნობთა ხარისხი განისაზღვრება მრავალი მაჩვენებლით. მათ შორის ძირითადი მაჩვენებლებია — სიმკვრივე-სიმაგრე, ელექტროწინაღმდეგობა, ანტიკოროზიულობა და ანტიმაგნეტიზმი. ლითონის ხარისხს აუარესებენ სხვადასხვა შენარევები—ფოსფორი, გოგირდი, დარიშხანი და ა. შ. მაგრამ, ამავე დროს, არსებობენ ისეთი მინარევებიც, რომლებიც ლითონის ხარისხს აუმჯობესებენ. ასეთებია: ნიკელი, კობალტი, მოლიბდენი და სხვ. მეტალურგები მათ უწოდებენ მალეგილირებელ, ანუ გამაკეთილშობილებელ შენარევებს.

მეტალურგთა მთავარი ამოცანა თავიდანვე იყო და, შეიძლება ითქვას, დღესაც რჩება ის, რომ შენადნობებიდან მთლიანად გამოთიშონ, გამოაცალკევონ, ე. ი. წიდში გადაიყვანონ მავნე შენარევები (გოგირდი, ფოსფორი, დარიშხანი და სხვ.), ხოლო სამაგიეროდ შეიტანონ მალეგილირებელი ელემენტები. ამ საკითხის გადასაჭრელად შეუსვენებლად მუშაობენ ყველა ქვეყნის მეტალურგები.

O

სტალინურ ხუთწლედებამდე საქართველოში მეტალურგია არც არსებობდა. არც ერთი ნამდვილად მეტალურგიული საწარმო ჩვენ არ გვქონდა. ნედლეული კი რამდენიც გნებავთ იმდენია. მარტო ჭიათურის მარგანეცის საბადოები ავიღოთ! საქართველოს მარგანეცის საბადოებს სიმდიდრითა და მადნის ხარისხით მსოფლიოში კონკურენტი არა ჰყავს.

ჩვენებური მარგანეცი მსოფლიოში საუკეთესოა იმით, რომ მასში მეტი რაოდენობით მოიპოვება მეტალურგიაში აუცილებელი ეგრეთწოდებული ლითონური მანგანუმი პერევისის მაღაროებიდან ამოღებულ მადანში, მაგალითად, ლითონური მანგანუმის შემადგენლობა 50 პროცენტს აღემატება, ხოლო საშუალოდ, გაუმდიდრებელი მარგანეცის აქაური მადანი არანაკლებ 30 პროცენტს წმინდა ლითონურ მანგანუმს შეიცავს. ჩვენებური მარგანეცი სწორედ იმიტომ ითვლება საუკეთესოდ, რომ მასში ეს წამყვანი ელემენტი—მანგანუმი დიდი რაოდენობითაა. მანგანუმის კონცენტრაციის გადიდებას მადანში, მისი რაოდენობის გაზრდას ეწოდება მადნის გამდიდრება. ჭიათურაში ჩვენ გვაქვს გამამდიდრებელი ქარხნები, რომლებიც გვაძლევენ საკმაოდ კონცენტრირებულ მადანს. მაგრამ მავნე მინარევების მექანიკური წესით მოცილება შეუძლებელია. მეტალურგის ამოცანაა მადნიდან ლითონის გამოდნობის დროს მავნე მინარევების მოცილება და წიდაში გადაყვანა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ამუშავების შემდეგ ამ მავნე მინარევების გამოთიშვის საქმე ჩვენში ბევრად გაუმჯობესდა. ქარხანამ დაიწყო ფერომანგანუმის და სილიკო-მანგანუმის გამოშვება. ფერო-მანგანუმში წმინდა მანგანუმის შემადგენლობა აყვანილია 80 პროცენტამდე. სილიკო - მანგანუმი კი 65 პროცენტამდე. ამგვარად, ნათელი ხდება, რომ მაღაროდან ამოღებულ მადანში [illegible] გამოდნობილ ლითონში მინარევთა რაოდენობა ბევრად მცირდება.

რატომ იბრძვიან მეტალურგები, რომ ექნეთ წმინდა ლითონური მანგანუმი? განა არ შეიძლება შენადნობის მისაღებად გამოვიყენოთ ჩვეულებრივი მარგანეცის მადანი?

შეიძლება. შენადნობსაც მივიღებთ, მაგრამ მისი ხარისხი, გამძლეობა არ იქნება კარგი. ასეთი შენადნობისაგან დამზადებული მანქანის რომელიმე დეტალი მალე გაფუჭდება. მისგან დამზადებულ ჯავშანს თიხასავით დაჰფშვნის თანამედროვე ყუმბარა.

უცხოეთის ქვეყნებში დიდი კვლევა-ძიება სწარმოებდა, რომ წმინდა მანგანუმი მიეღოთ. უკანასკნელ წლებამდე, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ლითონური მანგანუმის მისაღებად ცნობილი იყო მხოლოდ ე. წ. ალუმო-თერმიული მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით ლითონურ მანგანუმში წმინდა მანგანუმი 96 პროცენტამდე აღწევდა. ეს დიდი მიღწევა იყო.

O

მოულოდნელად გავარდა თოფი.

1941 წლის კვირაძალი იყო — 21 ივნისის ნაშუაღამევი.

ჩვენს ქვეყანას თავს დაესხა ვერაგი და თავხედი მტერი. იგი წინ მოიწევდა.

სიურპრიზი:

„სტოკჰოლმი, 13 აგვისტო. გაზეთ „სოციალდემოკრატენის" ბერლინელი კორესპონდენტი სწერს: „აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელების წინააღმდეგ წითელი არმიის მიერ გამოყენებული ზოგი ახალი სახის იარაღი გერმანელ ჯარისკაცებში აუწერელ შიშსა და პანიკას იწვევს. ეს იარაღი ჯერ ცნობილი არ ყოფილა. რუსეთის ტანკების ჯავშანს ვერაფერს აკლებს გერმანული ყუმბარა".

რა მოხდა?

ჩვენმა მეტალურგებმა შესძლეს მსოფლიოში ყველაზე მაღალხარისხოვან შენადნობთა მიღება, შესძლეს ისეთი ჯავშნის გაკეთება, რომელიც ბევრად უფრო მტკიცე და მაგარი იყო, ვიდრე გერმანელები ფიქრობდნენ.

მაღალხარისხოვანი შენადნობები! აი-ეთი იყო ფრონტის მოთხოვნა. და საბჭოთა მეტალურგებიც იბრძოდნენ იმისათვის, რომ მიეღოთ საუკეთესო, უფრო სუფთა მანგანუმი, ვიდრე 96-პროცენტიანი.

ახალი ძალით გააჩაღეს მუშაობა საბჭოთა ქვეყნის ლაბორატორიებმა, მეტალურგებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა. მათ ახსოვდათ დიდი სტალინის დარიგება:

„სამხედრო საქმეში, მით უფრო ისეთ ომში, როგორიც თანამედროვე ომია, არ შეიძლება ერთ ადგილზე იდგე. სამხედრო საქმეში ერთ ადგილზე გაჩერება იმას ნიშნავს, რომ ჩამორჩე. ჩამორჩენილებს კი, როგორც ცნობილია, სცემენ".

O

სამამულო ომის დასაწყისში, მოსკოვში, მენდელეევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში დოცენტად მუშაობდა ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი, მეტალურგიის ნიჭიერი მკვლევარი, ახალგაზრდა მეცნიერი რაფიელ ილიას-ძე აგლაძე. მან თავისი მეცნიერული კარიერის ასპარეზად მარგანეცის მადნის შესწავლის საქმე აირჩია.

საქართველოს მიწის წიაღში მარგანეცის მადნის სახით აურაცხელი მილიარდების ქონებაა. მისი უფრო ეფექტიანად გამოყენება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებით არის ნაკარნახევი.

მარგანეცის მრეწველობის შესახებ არსებული დიდი ლიტერატურა თავიდანვე იზიდავდა რაფიელ აგლაძეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა თბილისში კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი იყო. 1933 წლის ბოლოს იგი გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქიმიურ კომბინატში. იქ დაიწყო მუშაობა იმისათვის, რომ მისი მშობლიური კუთხის მარგანეცის მადნიდან მიეღო მართლაც წმინდა ლითონური მანგანუმი. ხანგრძლივმა მუშაობამ და ასობით ცდამ სიხარული მოუტანეს ახალგაზრდა მკვლევარს. სამამულო ომამდე რამდენიმე წლით ადრე მან შესძლო ლაბორატორიული წესით მიეღო წმინდა ლითონური მანგანუმი, სადაც სუფთა ლითონი 99,85 პროცენტს უდრიდა. ეს იყო იდეალი ყველა ქვეყნის მეტალურგებისათვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ რ. აგლაძემ ლაბორატორიული წესით დაყენებული ცდები გაიმეორა ნახევრად-საქარხნო პირობებში. თუ ლაბორატორიაში მან მოახერხა რამდენიმე გრამი სუფთა ლითონური მანგანუმის მიღება, ახლა ნახევრად-საქარხნო დანადგართა საშუალებით ახალი ლითონი უკვე რამდენიმე კილოგრამის რაოდენობით მიიღო.

სამამულო ომის დროს რაფიელ აგლაძე დაბრუნდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, სადაც ყველა პირობა ჰქონდა იმისათვის, რომ ნახევრად-საქარხნო პირობებში შემოწმებული ეს ახალი ნოვატორული ღონისძიება უკვე დიდი მასშტაბის ინდუსტრიულ ბაზაზე განეხორციელებინა. აქ მან შესძლო სამშობლოსათვის მიეცა არა კილოგრამობით, არამედ ტონობით ახალი ძვირფასი ლითონი და თითქმის მთლიანად დაეკმაყოფილებინა მასზე საბჭოთა მეტალურგიის მოთხოვნილება.

ამ შესანიშნავი, დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის გამოგონებისათვის რ. აგლაძეს მიენიჭა 1942 წლის სტალინური პრემია.

1943 წელს შავი მეტალურგიის სახალხო კომისრის ბრძანებაში, რომელიც გამოიცა რაფიელ ილიას-ძე აგლაძის მიერ ლითონური მანგანუმის მიღების გამო, აღნიშნული იყო:

„რაფიელ ილიას-ძე აგლაძის მეთოდით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ომის მძიმე პირობებში გამომუშავებულმა მაღალი სისუფთავის მანგანუმზე დამზადებული სპეციალური შენადნობისაგან გაკეთებულმა მაღალხარისხოვანმა საბჭოთა სამხედრო საჭურველმა გაუადვილა ჩვენს შემტევ წითელ არმიას მტრის უკუქცევა და ხელი შეუწყო საბჭოთა ხალხის საბოლოო გამარჯვების მოახლოებას".

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს რ. აგლაძის მუშაობას. 1944 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი—ლენინის ორდენით, ხოლო 1945 წელს—მედლით „კავკასიის დაცვისათვის" და შავი მეტალურგიის წარჩინებულის ნიშნით.

რაფიელ ილიას-ძე აგლაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ჭიათურის № 563 საარჩევნო ოლქში.

რაფიელ აგლაძეს 24 მეცნიერული ნაშრომი აქვს მეტალურგიის სხვადასხვა საკითხებზე. ეს ნაშრომები გამოქვეყნებულია საბჭოთა სამეცნიერო გამოცემებში. მათ ფართოდ გამოეხმაურნენ უცხო ქვეყნების სამეცნიერო წრეები.

O

— რაზე მუშაობთ ახლა?

ვეკითხებით დეპუტატობის კანდიდატს.

— ახლა მეტალურგიაში იწყება ახალი ხანა,—ამბობს ამხ. რ. აგლაძე,— ხანა ეგრეთწოდებული ხარისხოვანი მეტალურგიისა, სადაც დიდ გამოყენებაშია არა მარტო რკინა, არამედ თითქმის ყველა სხვა ქიმიური ელემენტი. მეც ახლა ამ დარგში ახალი ძიებისაკენ მივმართავ მთელს ენერგიას. მეტალურგიის ამ ახალი პრობლემების შესწავლის საქმე ჩვენში კონცენტრირებული იქნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ახლახან ჩამოყალიბებულ ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტში, რომლის დირექტორობაც მე მომანდეს.

ჩვენი, საქართველოს მეტალურგების ამოცანაა ისე გავშალოთ მუშაობა, რომ შევძლოთ მეტალურგიის დარგშიც მსოფლიოს მრავალი რამ ახალი ვუთხრათ.

**დ. ლომთაძე**

## სამთო-ქიმიური მრეწველობის კომბინატის მშენებლობა ყაზახეთში

**ალმა-ათა**, 14 იანვარი. (საკდესი). ყარატაუს მთებში მთავრდება სამთო-ქიმიური კომბინატის პირველი რიგის მშენებლობა. კომბინატი ყოველწლიურად ათეულ ათასობით ტონა ფოსფორიტებს მიაწვდის შუა აზიის ბამბის, კაუჩუკოსანთა და ჭარხლის პლანტაციებს.

კომბინატთან ერთად იზრდება მაღაროელთა ქალაქი ჩულაკტაუ. მისი მოსახლეობა უკვე ახლა 4 ათასამდე კაცს შეადგენს. ქალაქი ელექტროფიცირებულია. მოქმედებენ რადიოკვანძი, ტელეფონის სადგური, აბანო, სასადილო, კლუბი, საავადმყოფო. გაყვანილია გზატკეცილები, რომლებიც სამრეწველო მოედანს მუშათა დაბებთან აკავშირებენ. სწარმოებს 10-კილომეტრიანი წყალსადენისა და ფოსფორიტის შიუკველის ჩქარი მშენებლობა. მაღაროელთა ქალაქი რკინიგზის შტოთი დაკავშირებულია თურქესტან-ციმბირის რკინიგზასთან.

## კონკურსი ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებზე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ნ. კრუპსკაიას სახელობის საკავშირო ხალხური შემოქმედების სახლი აცხადებს კონკურსს ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების გამოვლინების მიზნით. კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ხალხური სიმღერების შემსრულებელი გუნდების ხელმძღვანელები, ხალხური ლექსებისა და შაირების მთქმელები, ფოლკლორის ნიმუშების შემგროვებელნი.

წარმოდგენილი ნიმუშები უნდა ასახავდნენ გამარჯვებული საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმს მშვიდობიანი აღმშენებლობის პერიოდში. საუკეთესო ნიმუშებისათვის დაწესებულია ოთხი პრემია: სიმღერებისა და შაირების შემგროვებელთათვის — 1.500 მანეთი, ლექსებისა და ზეპირგადმოცემების შემგროვებელთათვის — 1.000 მანეთი, სიმღერების მთქმელისათვის — 1.500 მანეთი, შაირების მთქმელისათვის — 1.000 მანეთი.

მასალები უნდა გამოიგზავნოს არა უგვიანეს 1946 წლის 25 იანვრისა, მისამართით: თბილისი, მახარაძის ქ. № 8, საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი. თან უნდა დაერთოს ჩამწერის ან მთქმელის მოკლე ავტობიოგრაფია და ბინის მისამართი.

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

## მიხეილ ივანეს-ძე ბარამია



ამხ. მ. ი. ბარამია დაიბადა 1905 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. მ. ი. ბარამია სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

1924-დან 1927 წლამდე ამხ. მ. ი. ბარამია კომკავშირულ სამუშაოზე იყო. 1928 წელს მიიღეს პარტიის წევრად. 1933 წლამდე მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) სენაკის სამაზრო კომიტეტსა და ხობის რაიკომში, ხოლო შემდეგ საქართველოს კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივნად. ამ სამუშაოზეა 1937 წლის ნოემბრამდე.

ამის შემდეგ ამხ. მ. ი. ბარამია მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნად. აქედან იგი გადაჰყავთ ჯერ საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის, ხოლო შემდეგ საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

1943 წელს ამხ. ბარამია არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად.

ამხ. მ. ი. ბარამია გამოცდილი, ინიციატივიანი პარტიული ხელმძღვანელია. იგი უნარიანად რაზმავს მასებს სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად. გულისხმიერება და მზრუნველობა კადრებისადმი მისი დამახასიათებელი თვისებაა.

ამხ. მ. ი. ბარამიას დამსახურება სოციალისტური სამშობლოს წინაშე საბჭოთა მთავრობამ აღნიშნა იმით, რომ იგი დააჯილდოვა ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

ამხ. მ. ი. ბარამია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრია.

## მაკარი ივანეს-ძე ჯაში



ამხ. მ. ი. ჯაში დაიბადა 1902 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანში, გლეხის ოჯახში. ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა 1921 წელს. 1930 წელს დაამთავრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი.

1922 წლიდან ამხ. ჯაში ჯერ კომკავშირულ, ხოლო შემდეგ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზეა. 1936 წელს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ამხ. ჯაში მივლინებულ იქნა მოსკოვში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პროპაგანდისტთა უმაღლეს სკოლაში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1937 წელს.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ამხ. ჯაში ხელმძღვანელ პარტიულ მუშაობას ეწევა, არის საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მესამე მდივანი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივანი.

1940-დან 1943 წლამდე ამხ. ჯაში მუშაობს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1943 წლის თებერვლიდან — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ამხ. ჯაშის დამსახურება სამშობლოს წინაშე აღნიშნულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის", „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის" და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

ამხ. მ. ი. ჯაში არის სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი.

## შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანი



ამხ. შ. ნ. დადიანი დაიბადა 1874 წელს ქალაქ ზესტაფონში. იგი საქართველოს თეატრალური ხელოვნებისა და ლიტერატურის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწეა, რომელმაც თავისი სიცოცხლის 50-ზე მეტი წელი საყვარელი საქმისადმი სამსახურს მოახმარა.

განსაკუთრებით ნაყოფიერად გაიშალა მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამხ. დადიანმა დასწერა მთელი რიგი მოთხრობები, ნოველები და რამდენიმე ისტორიული რომანი და პიესა. მისი ერთ-ერთი საუკეთესო დრამატიული ნაწარმოებია პიესა „ნაპერწკლიდან", რომელიც მოგვითხრობს ახალგაზრდა სტალინის ბრძოლაზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში პირველი ბოლშევიკური ორგანიზაციების შესაქმნელად.

შ. ნ. დადიანის მრავალი წლის მუშაობა თეატრალური ხელოვნების დარგში აღინიშნა 1924 წელს მისთვის რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებით. ამხ. დადიანი არის სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. იგი პარტიის წევრობის კანდიდატია.

დიდი სამამულო ომის წლებში ამხ. დადიანი განაგრძობდა შემოქმედებით მუშაობას და მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

მხატვრული ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ამხ. დადიანი 1939 წელს დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით, ხოლო 1944 წელს — შრომის წითელი დროშის ორდენით.

## შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძე



სოციალისტური შრომის გმირი შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძე არის წარჩინებული რკინიგზელი, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი.

ამხ. კოხრეიძე დაიბადა 1901 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში. მან 14 წლის ასაკში დაიწყო რკინიგზაზე მუშაობა. მუშიდან მემანქანე-ინსტრუქტორამდე — ასეთია მის მიერ განვლილი შრომითი გზა. 1929 წელს იგი შევიდა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში.

სამამულო ომის პერიოდში ამხ. კოხრეიძემ, თავის ბრიგადასთან ერთად, იკისრა ორთქლმავლის გარბენა ურემონტოდ 120.000 კილომეტრამდე აეყვანა და ეს ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულა. მისმა ორთქლმავალმა ურემონტოდ 152 ათასი კილომეტრი გაირბინა.

ამხ. კოხრეიძე უზრუნველყოფდა მნიშვნელოვანი ტვირთების გადატანას ფრონტისა და სახალხო მეურნეობისათვის. 1943 წელს მას მიანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი სახელწოდება. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლით „კავკასიის დაცვისათვის".

ამხ. კოხრეიძე დიდ მუშაობას ეწევა ორთქლმავლის მემანქანეთა ახალგაზრდა კადრების აღსაზრდელად და აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ცხრავე ორთქლმავალი, რომლებიც აბარია კოხრეიძეს, როგორც მემანქანე-ინსტრუქტორს, მუშაობს უწუნოდ. ექვსი მათგანი ცნობილია, როგორც სანიმუშო ორთქლმავლები. გასულ წელს ამ ორთქლმავლების ბრიგადებმა დაზოგეს 154 ტონა საწვავი.

ამხ. კოხრეიძემ უახლოეს ამოცანად დაისახა, რომ ორთქლმავლებმა, რომლებიც მის მომსახურებაშია, მოხარატებიდან მოხარატებამდე სულ ცოტა 100 ათასი კილომეტრი გაირბინონ.

## ალექსანდრე იორდანეს-ძე მირცხულავა



აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ი. მირცხულავა სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. ამხ. მირცხულავა საკავშირო კ. პ. (ბ) წევრად მიიღეს 1932 წელს.

დიდი ხნის განმავლობაში იგი იმყოფებოდა ხელმძღვანელ კომკავშირულ სამუშაოზე და სხვადასხვა დროს იყო მცხეთის, თბილისის და წულუკიძის კომკავშირის რაიკომების მდივანი, ხოლო შემდეგ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-20 წლისთავზე ამხ. ა. ი. მირცხულავა დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. სამამულო ომის წლებში იგი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

ამხ. ა. ი. მირცხულავა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრია.

ამხ. ა. ი. მირცხულავა დაიბადა 1911 წელს ხობის რაიონის სოფელ პირველ ხორგაში, გლეხის ოჯახში.

## ანა ალექსანდრეს ასული ტარიელაშვილი



ანა ალექსანდრეს-ასული ტარიელაშვილი დაიბადა 1915 წელს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფელ ერედვში.

სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ მან ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა.

უპარტიო კოლმეურნე ქალი ამხ. ტარიელაშვილი სწრაფად დაწინაურდა შაქრის ჭარხლის მინდვრების სტახანოველთა შორის. მას მაღალი მოსავალი მოჰყავს.

სამამულო ომის წლებში ანა ალექსანდრეს-ასული ტარიელაშვილი თავდადებული შრომით ეხმარებოდა ფრონტს. იგი კოლმეურნეებში ავტორიტეტით სარგებლობს, აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფელ ერედვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

წამოაყენეს რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ანა ალექსანდრეს-ასული ტარიელაშვილი, ამომრჩევლები ახასიათებდნენ მას, როგორც მოწინავე კოლმეურნე ქალს და აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკს, როგორც გულისხმიერ ამხანაგს.

## ვასილ ვლადიმერის-ძე სიხარულიძე



ამხ. ვ. ვ. სიხარულიძე დაიბადა 1913 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკისციხეში, გლეხის ოჯახში. შრომითი საქმიანობა მან ჩაის პლანტაციებში მუშაობით დაიწყო. 1931 წელს ამხ. სიხარულიძე მიიღეს საკავშირო კ. პ. (ბ) წევრად. 1932 წლიდან იგი კომკავშირულ, პროფკავშირულ და საგაზეთო სამუშაოზეა. შემდეგ მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივნად, ხოლო 1942 წლის ოქტომბრიდან — საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივნად.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მახარაძის რაიონი ინარჩუნებს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებებისათვის.

ამხ. ვ. ვ. სიხარულიძის დამსახურება სამშობლოს წინაშე აღნიშნულია ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

## სოფიო ანდრიას-ასული მარიდაშვილი



სოფიო ანდრიას-ასული მარიდაშვილი დაიბადა 1909 წელს კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომში რკინიგზელი მუშის ოჯახში. ამჟამად იგი მუშაობს მერგოლურად მშობლიური სოფლის კოლმეურნეობა „მნათობში" და სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ნორმებს.

1944 წელს მან ერთ ჰექტარზე მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 320 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო 1945 წელს — 480 ცენტნერი. 1945 წელს ამხ. მარიდაშვილმა 380 შრომადღე გამოიმუშავა.

შაქრის ჭარხლის კულტურა დიდად განვითარდა საქართველოში. გაიზარდნენ შაქრის ჭარხლის მოსავლის ოსტატთა მრავალრიცხოვანი კადრები. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ს. ა. მარიდაშვილს. მან, როგორც მერგოლურმა, სწორად მოაწყო შრომა რგოლში ნაკვეთის მომზადების, ჭარხლის მოვლისა და მოსავლის აღების დროს.

სოფიო ანდრიას-ასული მარიდაშვილი ინიციატივიანი, მოწინავე კოლმეურნეა. იგი სკოლაში მიღებულ ცოდნას დაუღალავად აღრმავებს, ცხოველ ინტერესს იჩენს სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი. თავისი მუშაობის გამოცდილებას ყოველთვის უზიარებს კოლმეურნეებს. აქტიურ მონაწილეობას იღებს კოლმეურნეობისა და მშობლიური სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1945 წელს ამხ. მარიდაშვილი მიღებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად.

კომუნისტი

პარასკევი, 18 იანვარი, 1946 წ. № 14 (7486).

# სასამართლო პროცესი ბელორუსიის სს რესპუბლიკაში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო

## 16 იანვრის დილის სხდომა

**მინსკი**, 16 იანვარი. (საქდესი). დილის სხდომაზე დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა. ჩვენებას პირველი იძლევა ბრალდებული **რიხერტი**. ომის დაწყებამდე ბრალდებული მეთაურობდა გერმანიის არმიის 35-ე ქვეითი პოლკს, რომელიც რანენბურგში იდგა. საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ათი დღის წინათ რიხერტი მონაწილეობდა საინსტრუქტაჟო თათბირში, რომელსაც გერმანელთა პოლკებისა და დივიზიების მეთაურები დაესწრნენ.

საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების დანგრევაში, სრულიად უდანაშაულო საბჭოთა მოქალაქეების მოსპობაში აქტიური მონაწილეობისათვის 1942 წლის აპრილში რიხერტმა წარჩინება მიიღო—იგი დანიშნეს 286-ე მცველი დივიზიის მეთაურად, რომელშიც შედიოდა 35-ე ქვეითი პოლკი. ამ დივიზიას დაევალა „პარტიზანთა დაწყნარება".

პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ ოპერაციათა ხელმძღვანელობის დროს რიხერტი ჟლეტდა სრულიად უდანაშაულო საბჭოთა ადამიანებს, სპობდა დასახლებულ პუნქტებს. ამჟამად სასამართლოში იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ „მხოლოდ უმაღლესი სარდლობის ბრძანებას ასრულებდა". სასამართლო გამოძიების მასალებით დადგენილია, რომ რიხერტის ბრძანებებით სწვავდნენ დასახლებულ პუნქტებს „უდაბნოს ზონების" შექმნის მიზნით, ხოლო აწიოკებულ მოსახლეობას გერმანულ მონობაში ერეკებოდნენ. ბრალდებულის თანხმობითა და ბრძანებით, გერმანიაში სულ გარეკილია 5.000-მდე მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე, გადამწვარია 50-ზე მეტი სოფელი, ხოლო მოსახლეობის ქონება დატაცებულია.

— თქვენი ოპერაციების დროს რამდენი საბჭოთა მოქალაქე დააპატიმრეს, რომელთაც პარტიზანებთან კავშირს სწამებდნენ?—ეკითხება პროკურორი.

**რიხერტი**: 1.300 კაცი დაპატიმრებულ იქნა, 900 კაცი დახვრეტილ იქნა და 500 გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში გაიგზავნა.

**პროკურორი**:—ვინ ეწეოდა ამ ადამიანთა დაკითხვას?

**რიხერტი**:—პოლიციის დირექტორი ტროსტი.

**პროკურორი**:—ვის ეკუთვნოდა საბოლოო გადაწყვეტილება: ბანაკში გაეგზავნათ თუ დაეხვრიტათ?

**რიხერტი**:—პირადად მე ვამტკიცებდი.

სასამართლო გამოძიების მსვლელობაში ირკვევა, რომ რიხერტის ბრძანებათა შედეგად მისდამი დაქვემდებარებულმა ჯარებმა და საიდუმლო საველე პოლიციამ 2.300-ზე მეტი კაცი დახვრიტეს.

რკინიგზის სადგურ სლავნოეზე პარტიზანთა თავდასხმის შემდეგ მიღებულ იქნა ჰიტლერის ბრძანება—დაეხვრიტათ 100 კაცი და გადაეწვათ სადგურის ახლომახლო სოფლები. რიხერტმა გულმოდგინედ შეასრულა ეს ბრძანებაც. დააპატიმრეს და დახვრიტეს სრულიად უდანაშაულო ასი ადამიანი.

აშკარად ირკვევა ის საზარელი დანაშაულობანი, რომელთა განხორციელებასაც ხელმძღვანელობდა ან პირადად ეწეოდა ბრალდებული რიხერტი. მრავალი დამსჯელი ექსპედიციის დროს ბელორუსიის სოფლებს არტილერიას უშენდნენ და სწვავდნენ. ალმოდებულ სახლებში მშვიდობიანი ადამიანები იღუპებოდნენ.

სასამართლო გამოძიებით გამორკვეულია, რომ რიხერტმა ბრძანება გასცა განენაღმათ გზები. ამას იძულებით აკეთებინებდნენ მოსახლეობას. დახოცვის მუქარით მშვიდობიან მცხოვრებთ აიძულებდნენ ფარცხით გაევლოთ დანაღმულ გზაზე. ამ დროს ბევრი იღუპებოდა.

შემდეგ ბრალდებულის ჩვენებით ირკვევა, რომ ორშიდან, კრიჩევიდან, ლეპელიდან, ბორისოვიდან და რიხერტისათვის დაქვემდებარებული ნაწილების განლაგების სხვა რაიონებიდან მოსახლეობას ძალად მიერეკებოდნენ გერმანიაში.

სასამართლო გამოძიებით გამორკვეულია აგრეთვე, რომ რიხერტმა პირადად მოაწყო ოზარიჩის სიკვდილის ბანაკი, სადაც მოსპობილ იქნა ათი ათასამდე საბჭოთა ადამიანი, მათ შორის მრავალი მოხუცი, ქალი და ბავშვი.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

## 16 იანვრის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე გაგრძელდა ბრალდებულ **რიხერტის** დაკითხვა. სასამართლო გამოძიების მსვლელობაში ირკვევა, რომ ოზარიჩის ბანაკი სიკვდილის ტიპიური ბანაკი იყო. რიხერტის ბრძანებით ეს ბანაკი მოეწყო 500 კაცისათვის, იქ კი ჯერ 1.500 პატიმარი ჰყავდათ, ხოლო შემდეგ—10 ათასზე მეტი. ბანაკში დაპატიმრებულნი განწირულნი იყვნენ საშიმშილოდ და სასიკვდილოდ. მამხილებელი საბუთების ზეგავლენით ბრალდებული იძულებულია დამნაშავედ სცნოს თავი ყველა ბრალდებაში.

როგორც საგანგებო სახელმწიფო კომისიამ გამოარკვია, მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ სისხლისმღვრელ აწიოკებას ახორციელებდნენ ორტსკომენდატურები და ფელდკომენდატურები.

— ეს კომენდატურები თქვენ გემორჩილებოდნენ?—ეკითხება თავმჯდომარე

— დიახ,—უპასუხებს რიხერტი.

**თავმჯდომარე**:—მაშ ვინ აგებს პასუხს საბჭოთა მშვიდობიანი მოქალაქეების დახვრეტისა და მონობაში გარეკვისათვის?

**რიხერტი**:—ასეთ მოქმედებას კომენდატურები ვერ ჩაიდენდნენ დივიზიის მეთაურის ბრძანების მიუღებლად.

**თავმჯდომარე**:—დივიზიის მეთაურად თქვენ იყავით?

— დიახ,—უპასუხებს რიხერტი.

სასამართლო გამოძიების მსვლელობაში ხასამართლომ დაჰკითხა მოწმეები ტრეტიაკოვა, ბარანჩიკი და ნურუტდინოვი.

ჩვენებას პირველი აძლევს მოწმე **ტრეტიაკოვა**, სოფელ კრიუკოვის მცხოვრები. იგი დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, თუ რა საშინელი პირობები იყო ოზარიჩის ბანაკში, სადაც იგი იჯდა, როგორც ათასობით სხვა ქალი, მოათავსეს ბრალდებულ რიხერტის ბრძანებით.

მოწმეებს **ბარანჩიკსა და ნურუტდინოვს** მოჰყავთ მრავალი ფაქტი, რომლებიც ბრალდებულ რიხერტს ამხილებენ მშვიდობიან მოქალაქეთა სისხლისმღვრელ აწიოკებასა და სხვა დანაშაულობებში.

შემდეგ სასამართლო იწყებს ბრალდებულ **ვაისიგის** დაკითხვას.

# სასამართლო პროცესი ქალაქ ნიკოლაევსა და ნიკოლაევის ოლქში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მხეცობის საქმის გამო

**ნიკოლაევი**, 14 იანვარი. (საქდესი). საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა. სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობით ტრიბუნალმა გადაწყვიტა გამოიწვიოს დამატებითი მოწმეები, გერმანიის არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურენი **ბუსი და ბოტმუსი**.

მოწმე **ბუსი**, რომელიც ქალაქ ნიკოლაევის ჟანდარმერიაში ბრალდებულ ბიუტნერის ხელქვეითად მსახურებდა 1943 წლის ოქტომბრიდან 1944 წლის მარტამდე, აჩვენებს, რომ მან პირადად ნახა, თუ რა მხეცურად სცემდა მაიორი ბიუტნერი შეპყრობილ ადამიანებს. იგი არა ერთხელ მეთაურობდა სადამსჯელო ექსპედიციას და მიდიოდა ზნამენკაში, ალექსანდრიაში, კიროვოგრადსა და სხვა პუნქტებში. ბიუტნერი მეთაურობდა მასობრივ ჩხრეკას, რასაც ქალაქ ნიკოლაევში აწყობდნენ იმ მიზნით, რომ მშვიდობიანი მცხოვრებნი გერმანიაში გაერეკათ. მოწმე აჩვენებს სასამართლოს, რომ ბიუტნერი ყოველთვის არიგებდა თავის ხელქვეითებს: „როცა საქმე რუსებთან გაქვთ, ყოველგვარი სანტიმენტალობა უნდა უკუაგდოთ. იცოდეთ, რომ რაც უფრო მეტ საბჭოთა ადამიანებს მოსპობთ, მით უფრო ნაკლები მტერი დაგვრჩება".

მოწმე ბუსი ამბობს, რომ იმ ჟანდარმებს, რომლებიც განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდნენ, ბიუტნერი ყოველთვის სხვებისათვის სამაგალითოდ სთვლიდა და ჯილდოებზე წარადგენდა ხოლმე.

ბოტმუსი, რომელიც ქალაქ ნიკოლაევის საღარაჯო პოლიციაში მსახურებდა, აჩვენებს: 1944 წლის ნოემბრის დამდეგს ქალაქში ერთი დივერსია მოხდა. მაიორ ვიტცლების ბრძანებით შეპყრობილ იქნა 10 მძევალი, რომლებიც მალე ჩამოახრჩვეს ბაზრის მოედანზე. ამის პასუხად რომელიღაც ადგილობრივმა მცხოვრებმა ცეცხლი წაუკიდა გერმანელთა გარაჟს. ვიტცლების განკარგულებით დაუყოვნებლივ დაიწყო მასობრივი დაპატიმრება. ხალხს იჭერდნენ სრულიად განურჩევლად, ანგარიშს არ უწევდნენ ასაკს, ყველას დაუყოვნებლივ ხვრეტდნენ. ხვრეტას პირადად ხელმძღვანელობდა ვიტცლების მოადგილე კაპიტანი შმალე.

მოწმე **ვ. ი. გრეზდოვსკი** ამხილებს ბრალდებულ კანდლერს დაპატიმრებულთა ცემაში. თვითონ მოწმეს ჟანდარმერია არა ერთხელ აპატიმრებდა, სცემდა და აბუჩად იგდებდა.

მოწმე გნეზდოვსკის ჩვენებით მთავრდება საღამოს სხდომა.

**ნიკოლაევი**, 15 იანვარი. (საქდესი). დღეს დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა. სახელმწიფო ბრალმდებელი სთხოვს სასამართლოს დაურთოს საქმეს ტრიბუნალის სახელზე იმ მოქალაქეთაგან მიღებული მრავალი დეპეშა, რომლებიც გერმანელთა მიერ ნიკოლაევის ოკუპაციის დროს დაზარალდნენ, აგრეთვე ჰიტლერელთა მიერ დანგრეული ქალაქის ფოტოსურათები. ტრიბუნალმა დააკმაყოფილა სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა.

მოწმე **ფ. ი. ბელოუსი** აჩვენებს, რომ 1943 წლის აპრილში მასთან სახლში მივიდნენ ჟანდარმები და წაიყვანეს მისი ქალი. კანდლერმა, რომელსაც ბელოუსმა მიმართა შუამდგომლობით შვილის განთავისუფლების შესახებ, სცემა მას. შემდეგ მისი შვილი ხელმეორედ დააპატიმრეს და 11 სხვა მოქალაქეთა რიცხვში დახვრიტეს.

მოწმე **ი. დ. კოვალჩუკი** სასამართლოს უამბობს, რომ იგი იყო მოწმე სამი საბჭოთა მოქალაქის ჩამოხრჩობისა სნიგირიოვკაში 1943 წლის აგვისტოში. სიკვდილით ამ დასჯას ბრალდებული კანდლერი ხელმძღვანელობდა.

მოწმე **ვ. ა. ბასაულოვა** ბრალდებულ კანდლერს ამხილებს მისი ქმრის მოკვლაში. ჰიტლერელებმა მხეცურად აწამეს აგრეთვე მისი ორი არასრულწლოვანი შვილი.

ხერსონის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ფერშალი მოწმე **დ. ი. შრამკო** სასამართლოს უამბობს, რომ 1941 წლის 24 ოქტომბერს საავადმყოფოში მივიდნენ ჟანდარმები, წაიყვანეს 100-მდე კაცი, ქალაქ გარეთ გაიყვანეს და იქ დახვრიტეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი ხელახლა მოვიდნენ და დასახვრეტად წაიყვანეს ავადმყოფთა ახალი პარტია. გერმანელებმა სულ დახვრიტეს ათასამდე ავადმყოფი, ხოლო საავადმყოფოს შენობა დაწვეს.

ექსპერტმა — ქალაქის უფლებრივი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **კოვალენკომ** სასამართლოს უამბო იმ უდიდესი ნგრევის შესახებ, რაც გერმანელებმა ნიკოლაევს მიაყენეს. ეს ნგრევა სწარმოებდა გეგმაზომიერად და საომარ მოქმედებასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე. განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდნენ ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი.

ამით სასამართლო გამოძიება მთავრდება. შესვენების შემდეგ სასამართლო გადადის მხარეთა კამათზე. თავმჯდომარე სიტყვას აძლევს სახელმწიფო ბრალმდებელს იუსტიციის პოლკოვნიკ **ი. ფ. ხემაშკოს**.

სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ადვოკატ **ბეკლემიშევს**, რომელიც სასამართლოს დანიშვნით იცავს ბრალდებულ ვინკლერს.

ადვოკატ ბეკლემიშევის გამოსვლით მთავრდება დილის სხდომა.

# მთავარ გერმანელ დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

## 14 იანვრის დილის სხდომა

**ნიურნბერგი**, 14 იანვარი. (საქდესი). ტრიბუნალის 14 იანვრის დილის სხდომის დასაწყისი მიეძღვნა მოწმე ფრანც ბლახის, დახაუს საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი პატიმრის დაკითხვის დამთავრებას.

ბრალდების ამერიკელი წარმომადგენლის დოდის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც დოკუმენტალური მასალებით დაამტკიცა, რომ დამცველთა ცდა—ჩირქი მოეცხოთ ბლახის ჩვენებისათვის—მოკლებულია ყოველგვარ ნიადაგს, გამოვიდა ბრალდების ინგლისელი წარმომადგენელი პოლკოვნიკი ფილიმორი. მან წარადგინა დოკუმენტები, რომლებიც ეხებიან ბრალდებულ კარლ დენიცის ბოროტმოქმედებას. ბრალმდებელმა მოაგონა ტრიბუნალს, რომ კარლ დენიცი 1935 წელს მეთაურობდა წყალქვეშა ფლოტილია „ვედიგენს". 1943 წელს დაინიშნა გროს-ადმირალად და დაიკავა ბრალდებულ რედერის ადგილი, როგორც გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალმა, ხოლო ამავე დროს დარჩა წყალქვეშა ფლოტის სარდლად. 1945 წლის 1 მაისს დენიცმა დაიკავა ჰიტლერის ადგილი როგორც გერმანიის მეთაურმა. პოლკოვნიკი ფილიმორი აგრეთვე მოაგონებს, რომ ბრალდებულ დენიცის გულმოდგინება გერმანიის ფლოტის მშენებლობასა და ფაშისტური ავაზაკობისათვის მის მომზადებაში დიდად შეაფასეს ჰიტლერელმა შეთქმულებმა. ბრალმდებელმა მოიყვანა ნაწყვეტი „დას არხივში" მოთავსებული ოფიციალური ცნობიდან, რომელიც ადასტურებს, რომ დენიცი მრავალი წლის განმავლობაში ამზადებდა გერმანიის ფლოტს ომისათვის. ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ დენიცი ჰიტლერული შეთქმულების მონაწილე იყო და ყოველნაირად ნერგავდა გერმანიის ფლოტში ომის წარმოების ჰიტლერულ მეთოდებს.

— ომი, რომელიც ზღვაზე სწარმოებდა ბრალდებულ დენიცის ხელმძღვანელობით ნეიტრალურ და მოკავშირეთა სავაჭრო გემების წინააღმდეგ,—ამბობს ბრალმდებელი, — წარმოადგენდა ისეთ ომს, რომელიც ხასიათდებოდა სულ უფრო და უფრო მეტი სიმკაცრით. იგი სწარმოებდა ომის წარმოების დადგენილი წესებისა და ადამიანობის მოთხოვნათა დაუცავად.

ბრალმდებელს ციტატები მოჰყავს ანგარიშიდან სავაჭრო გემებზე გერმანიის წყალქვეშა ნავების თავდასხმის შესახებ 1939 წლის სექტემბერსა და 1940 წლის სექტემბერს შუა განვლილ პერიოდში. ამ ანგარიშში ნათქვამია, რომ ომის პირველი 12 თვის განმავლობაში გერმანელებმა ჩასძირეს მოკავშირეთა 508 გემი 2.081.620 ტონა წყალწყვისა. გარდა ამისა, ჩაძირულ იქნა 253 გემი 869.213 ტონა წყალწყვისა, რომლებიც ნეიტრალურ ქვეყნებს ეკუთვნოდნენ. ამ გემების უმრავლესობა ჩაძირულ იქნა მათი კანონიერი სავაჭრო რეისების დროს. მათი ჩაძირვისას დაიღუპა მოკავშირეთა სავაჭრო ფლოტის 2.836 მეზღვაური. ბრალმდებელი მოაგონებს, რომ ამ ავაზაკურ მეთოდებს ჰიტლერელები იყენებდნენ მიუხედავად იმისა, რომ გერმანია შეუერთდა იმ ხელშეკრულებებს, რომელთა მიხედვითაც წყალზედა ან წყალქვეშა გემებს უფლება არა აქვთ ჩასძირონ სავაჭრო გემები ან დააზიანონ ისინი, სანამ მათგან გადმოყვანილი არ იქნებიან მგზავრები, ეკიპაჟი და გადმოტანილი არ იქნება დოკუმენტები და სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება ეკიპაჟისა და მგზავრების უშიშროება. მიუხედავად ამ ხელშეკრულებებისა, განაგრძობს ბრალმდებელი, გერმანელები ომის დაწყებიდანვე მხედველობაში არ იღებდნენ საერთაშორისო სამართალს.

1939 წლის ნოემბერში გერმანიის წყალქვეშა ნავებმა დაიწყეს ნეიტრალური გემების ჩაძირვა, როგორც წესი, გაუფრთხილებლად. ასე, მაგალითად, იმავე წლის 19 ნოემბერს ჩრდილოეთის ზღვაში სრულიად გაუფრთხილებლად ჩაძირულ იქნა ნორვეგიის ტანკერი. გემის კაპიტანი და ეკიპაჟის ოთხი წევრი მოკლულ იქნენ. ცოცხლად დარჩენილნი დიდი ხნის განმავლობაში ღია ზღვაში იმყოფებოდნენ ნავებზე. ბრალმდებელი აცხადებს, რომ გერმანელებმა მოახდინეს 112 ასეთი უკანონო თავდასხმა სავაჭრო გემებზე, ამასთან 79 გემი ტორპედირებულ იქნა გაუფრთხილებლად. გერმანელები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ეკიპაჟების უშიშროებას.

ბრალმდებელმა წარადგინა დოკუმენტი, რომლიდანაც სჩანს, რომ 1941 წლის 30 იანვარს ჰიტლერმა გამოაცხადა, საჭიროა ტორპედირებულ იქნას თვითეული გემი, რომელიც კი გერმანიის ტორპედოსნებს შეხვდება, სულ ერთია, დაცულია იგი თუ არა. თუ როგორ ასრულებდნენ გერმანიის წყალქვეშა ნავები დენიცის სარდლობით ჰიტლერის ამ დანაშაულებრივ მითითებას, ამას ბრალმდებელი ცხადჰყოფს დოკუმენტით, რომელშიც აღწერილია გერმანელების მიერ გემ „სიტი ოფ ბენარესის" ჩაძირვა. ეს ჩაძირვა მოხდა 1940 წლის 17 სექტემბერს. გემზე მრავალი ქალი და ბავშვი იყო. გემი ჩაძირულ იქნა გაუფრთხილებლად, ამასთან დაიღუპა 258 ადამიანი, მათ შორის 77 ბავშვი.

შემდეგ ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ ბრძანებები, რომლებსაც ბრალდებული დენიცი და მისი თანამონაწილენი აძლევდნენ თავიანთ ხელქვეითებს, მიმართული იყო საერთაშორისო სამართლის დარღვევისაკენ. ბრალმდებელი უსახელებს ტრიბუნალს ბრძანებათა სერიას, რომლებშიც ნათქვამია, რომ წყალქვეშა ნავებმა არა თუ დახმარება არ უნდა გაუწიონ იმ გემების ეკიპაჟებს, რომლებსაც ისინი სპობენ, არამედ ეს ეკიპაჟებიც უნდა მოსპონ.

1942 წელს, განაგრძობს ბრალმდებელი, როცა ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩაებნენ, ჰიტლერელებმა გადასწყვიტეს უფრო ფართოდ გამოეყენებინათ მოკავშირეთა ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. ბრალმდებელს მოჰყავს დოკუმენტი, რომლიდანაც სჩანს, რომ ბრძოლის ამ არაადამიანური მეთოდების შესახებ იცოდნენ არა მარტო ჰიტლერმა და დენიცმა, არამედ ბრალდებულმა რიბენტროპმაც. ბრალმდებელს ციტატები მოჰყავს ჰიტლერისა და იაპონიის ბერლინელ ელჩ ოსიმას შორის 1942 წლის იანვარში რიბენტროპის თანდასწრებით მომხდარი საუბრის ოქმიდან. ოქმში ნათქვამია: „ფიურერი რუკის საშუალებით უხსნის იაპონიის ელჩს ატლანტიკაში ომის ნამდვილ მდგომარეობას, ხაზს უსვამს, რომ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანად იგი სთვლის წყალქვეშა ნავების ძლიერ გაჩაღებულ ომს. მაგრამ ფიურერმა აღნიშნა, რომ რამდენი გემიც უნდა ააგონ შეერთებულმა შტატებმა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა იქნება ამ გემებისათვის ეკიპაჟების ნაკლებობა. ამ მიზეზის გამო სავაჭრო გემებიც კი ჩაძირულ უნდა იქნან გაუფრთხილებლად იმ განზრახვით, რომ მოსპობილ იქნას ეკიპაჟების რაც შეიძლება მეტი წევრი, რაც იწვევს სიძნელეებს ახალი ეკიპაჟების შეგროვებაში. ეკიპაჟის წევრების მომზადება ძალიან დიდ დროს მოითხოვს. ფიურერი ამბობს, რომ ჩვენს ერთიერთობას ადამიანური გრძნობები არ უნდა ხელმძღვანელობდნენ. ამ მიზეზის გამო მან უნდა გასცეს ბრძანება, რომ უცხოელ მეზღვაურებთან შეტაკების შემთხვევაში ისინი არ უნდა იქნენ წამოყვანილნი ტყვედ, არამედ, პირიქით, მას შემდეგ, რაც გემი ტორპედირებულ იქნება, წყალქვეშა ნავებმა უნდა ამოყვინთონ ზედაპირზე და ამოსწყვიტონ ადამიანები, რომლებიც თავის გადარჩენას ცდილობენ. ელჩი ოსიმა გულწრფელად დაეთანხმა ფიურერის აზრს და განაცხადა, რომ იაპონელებმა აგრეთვე უნდა გამოიყენონ მსგავსი მეთოდები".

ბრალმდებელს ციტატები მოჰყავს სრულიად საიდუმლო ბრძანებიდან, რომელიც წყალქვეშა ნავების ყველა მეთაურს დაეგზავნა დენიცის შტაბიდან 1942 წლის 17 სექტემბერს. ბრძანებაში ნათქვამია: „არავითარი ცდას არ უნდა მიმართოთ ჩაძირული გემების ეკიპაჟთა წევრების გადასარჩენად. ეკიპაჟების გადარჩენა ეწინააღმდეგება ომის წარმოების ძირითად ელემენტარულ მოთხოვნებს, ე. ი. მტრის გემების მოსპობას მათი ეკიპაჟებიანად". ბრძანება მთავრდება სიმკაცრისაკენ მოწოდებით. დენიცის ერთ-ერთ შემდგომ ბრძანებაში, რომელსაც ბრალმდებელი იმოწმებს, ლაპარაკია იმაზე, რომ სასურველია მოსპობილ იქნას მაშველი გემები, რომლებიც თვითეულ ქარავანს ახლავანო.

პოლკოვნიკი ფილიმორი აჩვენებს დოკუმენტს, რომლიდანაც სჩანს, რომ 1939 წლიდან 1945 წლამდე გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს ბრიტანეთის, მოკავშირეთა და ნეიტრალური ქვეყნების 2.775 გემი 14.572.435 ტონა საერთო წყალწყვისა.

შემდეგ იგი ტრიბუნალს სთხოვს დაკითხულ იქნას ორი მოწმე. ტრიბუნალის ნებართვით სხდომის დარბაზში შემოჰყავთ მოწმე, გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფილი ლეიტენანტი პეტერ ჰაიზიგი. ბრალმდებელი წინადადებას აძლევს მას მოუთხროს სასამართლოს ბრალდებულ დენიცის გამოსვლის შესახებ იმ დივიზიონის წინაშე, რომელშიც მოწმე სწავლობდა. მოუთხრო რა ტრიბუნალს იმის შინაარსი, რაც სთქვა ადმირალმა დენიცმა თავის სიტყვაში 1942 წლის შემოდგომაზე, ჰაიზიგმა განაცხადა:

— გროს-ადმირალმა დენიცმა, ილაპარაკა რა ომის შესახებ, გააკეთა დასკვნა, რომ ამერიკელების წინაშე წამოიჭრება სიძნელენი ეკიპაჟების შედგენის დარგში. რათა გაძლიერებული ყოფილიყო ეს სიძნელენი, გროს-ადმირალმა დენიცმა გვაგრძნობინა, ამერიკისა და მოკავშირეთა მეზღვაურები, რომელთა გემებიც დაიღუპნენ, უნდა მოესპოთ.

მოწმის დაკითხვა შეწყვეტილ იქნა ტრიბუნალის თავმჯდომარის ლორდ ლოურენსის სურვილის გამო—შესვენებამდე გაეკეთებინა ზოგიერთი განცხადება. უწინარეს ყოვლისა ლოურენსმა განაცხადა, რომ 14 იანვარს საღამოს ღია სხდომა არ შესდგება და ტრიბუნალი აცხადებს შესვენებას 15 იანვრის დილამდე. გარდა ამისა, ლოურენსმა განაცხადა, რომ ტრიბუნალს სურს მიიღოს ბრალდებისაგან პასუხი უფლებრივი ხასიათის მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცნების განსაზღვრასთან.

ამით დამთავრდა ტრიბუნალის 14 იანვრის დილის სხდომა.

# ამერიკელი კორესპონდენტი გერმანიის ოკუპაციის ამერიკულ ზონაში არსებული მდგომარეობის შესახებ

**ნიუ-იორკი**, 14 იანვარი. (საქდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ბერლინელი კორესპონდენტი მიდლტონი იუწყება, ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის წევრები განაგრძობენ გეგმის შემუშავებას, რომლის თანახმად პასუხისმგებლობა დენაციფიკაციის გატარებისათვის (ე. ი. სახელმწიფო აპარატიდან ჰიტლერელების მოშორებისათვის) გერმანელებს ეკისრებათ. ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულ ზონაში დენაციფიკაციის პროგრამა არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება. როგორც მიდლტონი იუწყება, გასულ კვირაში მან შეიტყო, რომ ბავარიაში თითქმის შარშანდელი წლის ბოლომდე დენაციფიკაცია დიდი შეფერხებებით ხორციელდებოდა. ათასი ჰიტლერელი კვლავ რჩება თავიანთ პოსტებზე ნიურნბერგში, თუმცა ასი მათგანი შეტანილია იმ პირთა კატეგორიაში, რომლებიც აუცილებლად მოშორებულ უნდა იქნან. ბადენსა და ვიურტემბერგში მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელის მოადგილეს კლეპერს კვლავ უჭირავს თავისი პოსტი, თუმცა გასული წლის აგვისტოში გაცემულ იქნა ბრძანება, რომ იგი მოეხსნათ. სასამართლოს სათავეში უდგას ვიდმანი. იგი ხელმძღვანელი იყო ჰიტლერული სასამართლოსი, რომელიც სხვადასხვა პირებს სდევნიდა „რასობრივ თეორიაზე" დაყრდნობით. არმიის ოფიციალურ ბიულეტენში აღნიშნულია, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის დარგში ჰიტლერელების პოსტებიდან მოხსნა არ განხორციელებულა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ არ არსებობს არავითარი ერთიანი კანონი დენაციფიკაციის შესახებ მთელი ბავარიისათვის და რომ ამჟამად ასეთი კანონის შემოღების არავითარი გეგმა არ მუშავდება. მიდლტონმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა ფირმებში ხელმძღვანელი თანამდებობიდან მოხსნილი ჰიტლერელები კვლავ მიიღეს სამუშაოზე უფრო დაბალ პოსტებზე და ისინი კვლავ სარგებლობენ წინანდელი უფლებებით.

# მუშაობა განაახლა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა

**ვაშინგტონი**, 15 იანვარი. (საქდესი). გუშინ კონგრესი კვლავ შეუდგა მუშაობას არდადეგების შემდეგ, რაც 23 დღეს გრძელდებოდა.

# გარდაიცვალა კაკსელი

**ჰელსინკი**, 15 იანვარი. (საქდესი). ფინეთის რადიო გადმოგვცემს, რომ გუშინ გარდაიცვალა ფინეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კაკსელი.

# მდგომარეობა ფილიპინებზე

**ნიუ-იორკი**, 16 იანვარი. (საქდესი). გაზეთმა „დეილი უორკერმა" გამოაქვეყნა ტარუკის—ფილიპინებზე იაპონელთა წინააღმდეგ მოქმედი ყველაზე დიდი პარტიზანული არმიის „კუკბალაჰ აპის" ხელმძღვანელის სტატია. ამ სტატიაში ტარუკი აღნიშნავს, რომ კოლაბორაციონისტები კონტროლს უწევენ ფილიპინების მთავრობას.

„ფილიპინების მთავრობამ, რომელსაც კონტროლს უწევენ კოლაბორაციონისტები, — სწერს ტარუკი,—დაიწყო შეიარაღებული გამოსვლების პოლიტიკის გატარება იმ მიზნით, რომ მოსპოს „კუკბალაჰ აპი" და გლეხთა ორგანიზაციები კუნძულ ლუსონის ცენტრალურ ნაწილში. მთავრობას განზრახული აქვს აიძულოს გლეხები მომავალი არჩევნების დროს აპრილში ხმა მისცენ რეაქციონერებს... მდგომარეობა მწვავე ხასიათს იღებს და თუ იგი არ შეიცვალა, შეიძლება სამოქალაქო ომი წარმოიშვას.

უკმაყოფილება შესამჩნევია ყველგან. კოლაბორაციონისტებს მნიშვნელოვანი პოსტები უჭირავთ ხელისუფლების საერთო ნაციონალურ და ადგილობრივ ორგანოებში. ხალხი მოითხოვს კოლაბორაციონისტების განდევნას, აგრარული რეფორმების გატარებას, მოსავლის უფრო სამართლიანად განაწილებას—60 პროცენტი მოიჯარადრეებს და 40 პროცენტი მემამულეებს. მოსახლეობა მოითხოვს სენატის თავმჯდომარის როქსასისა და სხვა კოლაბორაციონისტების დაპატიმრებას და სამართალში მიცემას, აგრეთვე მთავრობის მხრივ ტერორის შეწყვეტას".

დასასრულ ტარუკი სწერს: „მე ტრუმენს გაუგზავნე პროტესტი ამის გამო".

# ხმები მანერჰაიმის მომავალი გადადგომის შესახებ

**ჰელსინკი**, 15 იანვარი. (საქდესი). ფინეთის გაზეთები განაგრძობენ ახალი პრეზიდენტის არჩევნების საკითხის განხილვას. როგორც ამტკიცებენ, არჩევნები ჩატარდება მთავრობის მიერ შემუშავებული საგანგებო არჩევნების კანონპროექტის საფუძველზე. ემყარება რა მიღებულ ცნობებს, გაზეთი „ჰელსინგინ სანომატ" სწერს, რომ პრეზიდენტის გადადგომა მოსალოდნელია 17 ან 18 იანვარს.

გაზეთი „სუომენ სოსიალიდემოკრაატი" სწერს, რომ მთავრობას კანონპროექტი პრეზიდენტის საგანგებო არჩევნების შესახებ სეიმს გადაეცემა გადადგომის შესახებ მანერჰაიმის განცხადების მიღებისთანავე.

გაზეთ „უუსი სუომის" ცნობით, პრეზიდენტის საგანგებო არჩევნების კანონპროექტის შესახებ მის შეკითხვაზე მიცემულ პასუხში ნათქვამი იყო, რომ მთავრობას ამ მიმართულებით ჯერ არავითარი ზომები არ მიუღია.

# ელის სმიტი თავისი გადადგომის მიზეზების შესახებ

**ლონდონი**, 14 იანვარი. (საქდესი). ლეიბორისტმა—პარლამენტის წევრმა ელის სმიტმა, რომელმაც თავისი ამომრჩევლების წინაშე სიტყვა წარმოსთქვა, განმარტა, თუ რატომ გადადგა იგი ვაჭრობის სამინისტროს საპარლამენტო მდივნის პოსტიდან. სმიტმა განაცხადა, რომ მან მოითხოვა ბამბეულის მრეწველობის ნაციონალიზაცია და მთავრობის განკარგულებაში არსებული გარდამეტი საქონლის განაწილების უფრო სამართლიანი სისტემა. მას აგრეთვე მიაჩნდა, რომ საჭიროა ნაკლები შემწყნარებლობა გამოჩენილი ფაშისტების მიმართ. ელისმა გააკრიტიკა დისკრიმინაცია, რასაც მთავრობა კოოპერატიული მოძრაობის მიმართ ატარებს და რაც იმით გამოიხატა, რომ კოოპერატივები უგულებელყოფილ იქნენ მთავრობის კუთვნილი ფაბრიკების კერძო მეწარმეთათვის იჯარით გადაცემისას.

# მდგომარეობა ინდონეზიაში

**ლონდონი**, 16 იანვარი. (საქდესი). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, ინდონეზიის რესპუბლიკური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა შარირმა გუშინ ბატავიაში განაცხადა, რომ ინდონეზიელი ხალხი ანგარიშს ვერ გაუწევს იმ შეთანხმებებს, რომელთა დადებაშიც მას მონაწილეობა არ მიუღია, და აგრეთვე მხედველობაში ვერ მიიღებს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულ იქნა ამას წინათ ლონდონში მომხდარი ინგლის-ჰოლანდიის მოლაპარაკების დროს.

შარირმა გაერთიანებული ერების ასამბლეას მიმართა თხოვნით, რომ მან საჭირო ზომები მიიღოს იავის პრობლემის გადასაჭრელად. მან განაცხადა, რომ ინდონეზიელები კმაყოფილებით შეხვდებიან დოქტორ ვან მოოკს, როგორც უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელს და განიხილავენ მასთან ჰოლანდიის ინტერესებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჰოლანდიის მთავრობა სცნობს ინდონეზიის რესპუბლიკურ მთავრობას. შემდეგ შარირმა განაცხადა: ჩვენ არ შეგვიძლია გავაკეთოთ და არც გავაკეთებთ განსხვავებას ჰოლანდიელებსა და სხვა ერებს შორის.

# გაფიცვები ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი**, 16 იანვარი. (საქდესი). გუშინ დაიწყო ელექტრომრეწველობის 200 ათასი მუშის გაფიცვა, რომლებიც ხელფასის მომატებას მოითხოვენ. ჯენერალ ელექტრიკის, ვესტინგჰაუზის, ელექტრიკ მანუფაქჩურინგ კომპანის და ჯენერალ მოტორსის კომპანიების 79 საწარმოს მუშაობა შესწყდა. ამჟამად იუწყებიან მასობრივი პიკეტირების შესახებ, რასაც ატარებს 10 ათასი მუშა ბრიჯპორტში (კონექტიკუტის შტატი) და 5 ათასამდე მუშა ბლუმფილდში (ნიუ-ჯერსის შტატი). პროფკავშირის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ გაფიცულთა შორის 57 ათასი ქალია.

# პროტესტები ინგლისში ფაშისტთა საქმიანობის აქტივიზაციის წინააღმდეგ

**ლონდონი**, 16 იანვარი. (საქდესი). გაზეთმა „დეილი უორკერმა" მოათავსა იმ წერილის ასლი, რომელიც ეტლის გაუგზავნა ნორფოლკში დაბინავებულმა 460 მფრინავმა. ავტორები სწერენ:

„იმის დაშვება, რომ ფაშიზმი კვლავ ვითარდებოდეს ევროპაში და, განსაკუთრებით, ინგლისში, გამცემლობას მოასწავებს ომის დროს დაღუპული ყოველი მამაკაცის, ქალისა და ბავშვის მიმართ. თუ ამჟამად არსებული კანონები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ინგლისის ფაშისტური მოძრაობა ჩანასახშივე იქნას ჩახშობილი, მაშინ საჭიროა დაუყოვნებლივ შემოვიღოთ ახალი კანონები და მივიღოთ სასწრაფო ზომები".

გარდა ამისა, ინგლისში ფაშისტთა საქმიანობის აქტივიზაციის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო რეზოლუციები მიღებულია საავტომობილო მრეწველობის მუშათა ნაციონალური კავშირის პორტის განყოფილებისაგან, ბრუკვეილის საფეიქრო ფაბრიკის მუშა ქალებისაგან და სხვ.

# კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

**18 იანვარს, საღამოს 8 საათზე,** საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების მომხსენებლების, ლექტორებისა და კონსულტანტებისათვის შესდგება ამხ. **გაბაშიძისა** და ამხ. **კანტერეს** საინსტრუქტაჟო მოხსენება ქართულ და რუსულ ენებზე. თემა: **„22 წელი ულენინოდ, ლენინის გზით, სტალინის ხელმძღვანელობით"**.

**18 იანვარს, საღამოს 8 საათზე,** მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელთათვის შესდგება დოცენტ **ქორიძის** ინდივიდუალური კონსულტაცია.

**19 იანვარს, საღამოს 8 საათზე,** ლექტორებისა, მომხსენებლებისა და მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება ამხ. **პავჩინსკის** კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა"** (ხუთმეტი დღის მიმოხილვა).

# 25.000 მანეთი მოგება

ამ დღეებში წყალტუბოს რაიონის შემნახველ სალაროში ობლიგაციების შესამოწმებლად მივიდა მასწავლებელი ალექსანდრე გრძელიძე. მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხის ერთ-ერთი ორასმანეთიანი ობლიგაციით № 15-16, სერია № 053263 ამხ. გრძელიძემ 25.000 მანეთი მოიგო. (საქდესი).

# მოხსენება

18 იანვარს, საღამოს 5 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომის დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შესდგება პროფესორ **გ. ი. თავზიშვილის** მოხსენება თემაზე: **„დიდი რუსი პედაგოგი კ. დ. უშინსკი"** (გარდაცვალების 75 წლის აღსანიშნავად). შესვლა თავისუფალია.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი იძენს ძველ (რევოლუციამდელ) გამოცემებს: გაზეთებს, ჟურნალებს, ბროშურებს, პროკლამაციებსა და სხვა მასალებს, აგრეთვე რევოლუციონერი მოღვაწეების პირად მიმოწერებს და ხელთნაწერებს.

ვთხოვთ ყველა იმ პირთ, რომელთაც ასეთი მასალები მოეპოვებათ, მოიტანონ ან გამოგზავნონ ფილიალში. ქ. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 33, ტელეფონი 3—05—60.

**ფილიალის დირექცია**

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

# თეატრებში

**სახელმწიფო ოპერა**—18/I — „ბახჩისარაის შადრევანი", 19/I — „ბორის გოდუნოვი". **რუსთაველის სახელობის**—18, 19/I—„ლალატი". **მარჯანიშვილის სახელობის**—18/I—„შესაფერი ჯილდო", 19/I—„ფიქრის გორა". **გრიბოედოვის სახელობის**—18/I—„მელიები", 19/I—„მაშენკა".

# კინოებში

**18 იანვარს: რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი და დამკვრელი**—„ტყუპი". **ოფიცერთა სახლი**—ფერადი ფილმები—1. „სრულიად საკავშირო ფიზკულტურული პარადი", 2. „გამარჯვების პარადი". **26 კომისრის სახელობის**—„რაიკომის მდივანი".

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს, რომ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 30 იანვარს, დღის 12 საათზე, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (მარის ქ. № 3), **ბივი რაჟდენის-ძე ხუციშვილი**, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ოფეს ლვართა ჰაერიდან წყალში გადასვლის ეფექტები"**.

ოფიციალური ოპონენტები: ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. ი. მამასახლისოვი**, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ნ. პოლიევქტოვი-ნიკოლაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივი იუწყება ძველი მუშის **ნესტორ ზაქარიას-ძე გოგლიჩიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 18/I. 5 ს. საბადურის, 7.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **სიმონ ალექსის-ძე ქვარიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/I, 1 ს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი იუწყება მასწავლებელ **ვასილ ალექსის-ძე ჭიალაშვილის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი იუწყება **ალექსანდრე მიხეილის-ძე გრიგოლიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 20/I, 2 ს. ბებელის მოედანი, 1.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00111